

၀ ၁ ၆ ၃ ၁ ၄ ၀ № ၁ ၁၉၀၂ မ ၅ ၃၀



# အေဒီနိုလင်

— ၇။၇၀၇၁၄၀ ဆောက်။ —



တ ၈၀၉၆၀

ပြည် ဂာဗျာ ပြည် „ပြည်ပြည်“ ဇန. ၁၇. ၁၉၀၂

1902

## შინაარსი № 1:

	გვერ.
1. საახალწლოდ, ლექსი, ყველგან-მყოფისა . . . . .	3.
2. ვერის ხევი ანუ სკვირეთისა . . . . .	4.
3. ისტორიის შესავალი, ბ. კ. . . . .	18.
4. საინგილო, ინგილო ჯანაშვილისა . . . . .	23.
5. სატირალი ანუ გასვენება, აფრ. მერკვილაძისა .	38.
6. ძველი ლექსი დავით აღმაშენებელზე, ი. ჭ.-მიერ ჩაწერილი . . . . .	45.
7. ქართლისა და კახეთის სამეცნიერების პოლიტიკური მდგრადიობა, თარგმანი ალ. ტატუნაშვილისა .	46.
8. ამბავი კნეინა ეკატირინე ჩიჩუასი, გურიის უკანა- სკნელის მთავრის ასულისა . . . . .	54.
9. ქართველ მეფის ვახტანგის შეორედ მოსვლა გან- ჯას, თარგმანი ფრანგულიდგან ა. კვერკველაძისა	64.
10. საკვირაო გაზეთს „კვალს“ . . . . .	73.
11. ქართველთ მოქცევა, ლ—ძესი . . . . .	74.
12. სახალხო ისტორია საქართველოსი. ფარნაოზი . . . . .	54.

გამოფინავა და ისევიდება შმათა იმედაშვილების წიგნის  
მაღაზიაში

ქართულ პიესების კრებული

# „ცხოვრის სარვე“

წიგნი მეორე, სურათებით.

ფასი ერთი განეოთი.

F 3  
1902  
საქართველო  
კულტურის  
მისამართის  
მუნიციპალიტეტი

იანვარი, № 1, 1902 წელი.

# მ ღ ვ წ ს უ რ ი

ისტორიული — არქეოლოგიური და გეო—  
გრაფიული — ეტნოგრაფიული სურათებითი  
უწინალი, გამოგა უოველის თვის პირველ რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა გაგზნით:

წლით — ხუთი მანეთი, ნახევარ წლით — სამი მანეთი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს: *Въ Тифлисъ,  
въ Редакцію „МОГЗАУРИ“.*

თბილისი ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრ-  
ცელებელის საზოგადოების მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან  
და თვითონ რედაქტორთან „კავკასიის საკანდიტეროში“  
(გოლოვინის პროსპექტზე „კრუზოკის“ ქვეშ) — დღესასწა-  
ულებში დილის 11 საათიდამ 1 საათამდის, ხოლო საქმის  
დღეებში — საღამოს 5 საათიდამ 7 საათამდის.

თბილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.  
1902



Дозволено издавать. Тифлопр. 14-го Декабря, 1901 года.

## საახალოლო.

ორმოცის წლის წინ, ვით ბადრი მთვარე,  
ამოჰლაპლაპდი სამშობლოს ცაზე,  
მას აქეთია ბნელს გვიჩირალდნებ  
და მიგვიძლვები სიკეთის გზაზე.

ზეგარდმო მაღლით სიბრძნის მეტყველი  
ეგ შენი ბაგე ენა-მზიანი  
ორმოცი წელი ჩვენს თავს დასტირის  
და კარგს შეჰქარის თვალ-ცრემლიანი.

შენ შეჰქატროდი და უგალობდი  
ყმა-მონებისა ბორკილთა მტვრევას;  
შენვე ჰკიცხავდი დარეჯანების  
და ლუარსაბთა დასაძრახ ქცევას.

შენ იყავ ქართველთ წარმატებისთვის  
ბევრ კეთილ საქმის სულის ჩამდგმელი,  
შენვე ხარ დღესაც მრავალის მაღლის  
დედა და ძიძა, ბურჯი, აღმზრდელი.

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

„ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,  
ღიღის სამოთხის კუთხე პატარა,  
ქედ-მოდრეკილა ნაღვლით საწყალი,  
რომ მისი ტრფობა ოქვენში შემწყდარ“.

„სად არის იგი მღალადებელი  
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?  
სად არის იგი ბიწის მდევნელი  
ჯვარ-ცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“



## მოგზაური

„ღმერთო!... თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,  
 რომ დლენი ისე არ დაელიოს,  
 მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა  
 ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს“...

ამგვარ ლვთიური სწავლა-მოძღვრებით  
 შენ გვიკეთილებ ცოდვილსა სულსა,  
 და სისხლის ცრემლით გვიტირებ გულსაც,  
 როს გვითვალწინებ ხალხს საყვარელსა.

შენ შეგვაყვარე ჩვენი ქვეყანა,  
 ჩვენი ერობა და დედა-ენა,  
 ვით სხივნი მზისა, ისე უნათებს  
მთელს საქართველოს შენი გავლენა.

თავ-მოწონებით ამბობენ ყველგან  
 ყოველს შენს საქმეს დიდ-სასახელოს  
 და თან დასძენენ: „კურთხეულმც იყოს,  
 ვინც დაუბადა ის საქართველოს!“

„აბა, დედანო, ანგელოზთ დანო,  
 უმღერეთ ბალლებს მისი „ნანაო“  
 და აღუზარდეთ მშობელ ქვეყანას  
 უკვდავნი გმირნი იმისთანაო“.

მომავალშიაც ქართველთა-ძენი  
 ივლიან შენგან დაკვალულ-გზაზე,  
 იმოქმედებენ შენი სიტყვანი,  
 ვიღრე მზე, მთვარე ანათებს, ცაზე!..

პეტერბურგი.

ყველგან-მყოფი



გერის ხეობა ანუ სპეცირეთისა, ქ. თბილისის ჩრდილო-დასავლეთის გვერდით.

- 1) მდინარე მტკვარი;
- 2) ლურჯ-მონისტერი, ეხლანდელი ორანჟ ღვთის-მეტყველის ეკლესია თბილისში;
- 3) სოფელი წყნეთი;
- 4) ახალ-დაბა;
- 5) ბეთანიის მონისტერი;
- 6) სოფელი წვერი;
- 7) წვერის ციხე-ეკლესია;
- 8) ლასტის-ციხე;
- 9) ვერის-ხვია;
- 10) სკვირეთის მდინარე და
- 11) სოფელი დოვე.

## ვერის ხევი ანუ სკვირეთისა.

ვერის ხევი ანუ სკვირეთისა არის ის წყალი, რომელიც ერთვის მტკვარს მარჯვენიდან, ქ. თბილისის ჩრდილოეთ-და-სავლეთის მხარეს. ვერის ხეობა, ჩვენი გეოგრაფის ვახუშტის სიტყვით, ძველად იწოდებოდა სკვირეთად. ამ ხეობის უმთავ-რესი ხევი არის ვერის ანუ სკვირეთის წყალი, რომელიც გამოდის დიდ-გორის მთიდამ და ერთვის მტკვარს მარჯვენი-დაში, ქ. თბილისის ჩრდილო ნაწილში. მდინარე ვერე პატარა წყალია, ასე რომ ათი-თორმეტი წლის ბავშვიც ადვილად გავა მასში, ნიაღვრებში-კი ფრიად ადიდდება ხოლმე. სათა-ვიდამ ვიდრე სოფელ განათამდე, როგორც ამას სამართლია-ნად ამბობს ვახუშტიც, ვერის ხეობა, სათავიდამ სო-ფელ ვანათამდე, არის „უვენახო და უხილო, ხოლო მას ქვეით „ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნაღირიანი, ფრინვლიანი, ფრიად მაგარი და მოსავლით და პირუტყვით შემკული“. ამ უამად ხეობა ესე, თბილისიდამ სოფელ წყნ-თამდე, უტყეოა, ხოლო მას ზევით - დიახ ტყიანი, თუმცა წყნეთის ზემოთ, რომელიც 7 ვერსზეა ქ. თბილისიდამ, ტყი ბევრგან უკვე გაფუჭებული და გაჩეხილია. წყლის კიდით ხეობა მეტად ვიწროა, მაგრამ, გარეშემო მთებზე-კი მრავლად მოიპოვება ვაკე აღვილები, რომლებზედაც გაშენებულია პატარ-პატარა სოფლები თავ-თავიანთის ვენახებით, ხილის ბაღებით და სახნავ-სათესებით. მთელი ხეობა მეტის-მეტად დასერილი და დაფლეთილია უთვალავი ხევებით, რომლებიც საღლაც უფსკრულში მომდინარებენ და ძალურს კლდიან ხრა-მებს ახმაურებენ. ამიტომ აქ გზები უფრო ბილიკების მსგავ-




გერის ხეთბის ქართველები, სოფელ წვერში.

სია და მხოლოდ ფეხით და ცხენით შეიძლება მათზე მოგზაურობა. მრავალია აქ ისეთი აღვილები, სადაც გზას წყლის კიდიდამ მაღლა მთაზე აპყევართ, რომ რამოდენიმე წამის შემდეგ ხელ-მეორედ ხევში ჩამოგიყვანოსთ, და სულ ამ გვარად. მთელი ხეობა, გარდა სოფელ წყნეთისა, რომელშიაც 150 კომლში, ას კომლამდის ქართულად მოლაპარაკე სომეხია, დასახლებულია ქართველებით, რომლებიც ცხოვრობენ აქა-იქ, პატარ-პატარა სოფლებად.

ზემოხსენებული სოფელი წყნეთი უდიდესი სოფელია ამ ხეობაში და მდებარებს ქ. თბილისიდამ 7 ვერსზე. აქ არის ორი ეკლესია, ერთი ქართველებისა, ხოლო მეორე—სომხებისა. სკოლა არა აქვთ, თუმცა 150 კომლს აღვილად შეეძლო ერთი სკოლის შენახვა. ცუდი არ იქნებოდა, რომ იკლესიას მაინც ედვა თავს ეს საჭირო საქმე: სხვა არა იყოს-რა, წერა-კითხვას მაინც ისწავლიდნენ სამშობლო ენაზე. არა თუ წყნეთს, მთელს ვერის ხეობას, რომლის სიგრძე სულ ცოტა რომ ვსოდეთ 40 ვერსი იქნება, ერთი სკოლა არ აბადია. სამწუხაროა, რომ არ ვსოდეთ, სატირალია-თქო. ვერის ხევის ქართველები, როგორც აქ ჩართული სურათი-დამაც დანახავთ, წამოსადეგი, ჯან-საღი ხალხია, მაგრამ უსწავლელი და გაუსვლელი. თუმცა სურათი ჩვენ შიგ სოფელ წვერის შუაგულში გადავიდეთ, მაგრამ მაინც ვერას გზით ვერ დავითანხმეთ აქაური ქალები ორიოდე წუთით ჩვენ წინ დამდგარიყვნენ, თუმცა სულ ათიოდე ნაბიჯიდამ მთელი გროვა ქალებისა გვიცეროდა ბანიდგან, როგორ ვასურათებდით მათ ვაჟკაცებს. როგორც შევაძევეთ თვით კაცებსაც-კი ეშინოდათ ჩვენი და უარზე იდგნენ დასურათებაზე, ასე რომ მამისახლისი გამბედავი არ შეგვხვედროდა, რომელმაც ცხენიანათ მოისურვა გადაღება, იქნება კაცოგანაც არავინ დამდგარიყო. სოფელი წვერი-კი სულ 30 ვერსზეა ბრწყინვალე თბილისიდამ!..

„ხამი კაცი, ხამ სოფელსა,  
ოხერი და ხეტიაო,



ბ ე თ ა ნ ი ი ს მ თ ხ ა ს ტ ე რ ი .

9

ბანზე დამდგარან ქალები,  
იქნება ეს ცეტიაო“.

ეს ლექსი ჩვენ თვით ვერის ხეობაში გავიგონეთ და თურმე, თვითონ კი ყოფილან სრული ხამები, რომ საკუთარს სახლშიაც ვერ გაურჩევიათ ავი კარგისაგან. ვერელები მის-დევნები: საქონლის მოშენებას, მევანახეობას, მებაღობას, ხნა-თესვას, მენახშირეობას და ნაღირობას. მთელს ხეობაში 400 კომლია; ამათში სამი მეოთხედი ქართველებია, ხოლო დანარჩენები სომხები, ქართულიადვე მოლაპარაკე. სომხები აქ უფრო წყნეთში ცხოვრობენ, საღაც მათი რიცხვი 100 კომლამდის იქნება, დანარჩენს სოფლებში კი საერთოდ 10—12 კომლზე მეტი არ იქნება. ვერის ხეობაში შესანიშნავია ბეთა-ნის მონასტერი და წვერის ციხე.

ბეთანია, ბეთანიის მთნასტერი ძევს ვერის ხეობის შუა-გულში, სულ ასიოდე ნაბიჯზე მდინარის მარჯვენა კიდიდამ, მაღლობ პატარა ვაკეზე, რომელიც მთლად დაფარულია ტყითა. მდებარეობა მონასტერისა მეტად ლამაზი და სასია-მოვნოა, ხოლო თვით მონასტერი კი დღეს საკმაოდ დაზია-ნებულია და ამიტომ სამწუხარო შთაბეჭილებას ახდენს მნა-ხველზე. მონასტერს გარშემო ჰქონია გალავანი და შესავალ კარგთან ორ-სართულიანი აგურის კოშკი; შეხვალთ გალ-ვანში თუ არა, თქვენ ნახავთ ორს საყდარს: ერთს პატარას და მეორეს—გაცილებით დიდს. პატარა ეკლესია ამ რამდენ-სამე წლის წინად განააზლა აწ განსვენებულმა თ. დ. ბარა-თაშვილმა, აქაურის მამულის პატრონმა, და უკვე აკურთხეს კიდევა 17 მაისს. 1898 წ.; მასზე ყოფილი დიდი წარწერა ხუცურის ასოებით, მაგრამ იგი ამ უამაღ თითქმის სრულიად წაშლილია, რამდენიმე ასოს გარდა. პატარა საყდრის სიგრძე არის ცხრა ნაბიჯი, სიგანე 7, ხოლო დიდისა საკურთხევლი-ანად—25 ნაბიჯი სიგრძე და 17-იც სიგანე. დასავლეთიდამ და სამხრეთიდამ დიდს ეკლესის მოდგმული ჰქონია ეკვდე-რები, რომლებიც დღეს ძალიან დაზიანებულებია. გუმბათი

და ომოსავლეთის კედელი გარედამ მრავალის და მშვიქულების რის ჩუქურთმებით არის შემკული. დიდს ეკლესიას ჰქონია ორი შესავალი კარები: ერთი დასავლეთიდამ, ხოლო მეორე — სამხრეთიდამ. შეხვალთ საყდარში თუ არა და დაღვებით საკურთხევლის წინ, ოქვენ დაინახავთ სამხრეთის მარჯვენა კედელზე დიდს ხატს სასულიერო პირისას, რომელსაც ხელში უჭირავს ეკალესიის სურათი და მიართმევს ღვთის-მშობელს, რომელიც დახატულია აქვე. წარწერა აღარ უჩანს ეკლესიის დამჭერს, თორემ ეჭვი არ არის, რომ იგია ამ მონასტრის დამფუძნებელი. დიმ. ბაქრაძე თავის შრომაში „Памятники христианства на Кавказе“, გვ. 43, ამბობს:

„ეკლესიის შესავლის მარჯვნივ კედელზე თქვენს ყურადღებას განსაკუთრებით იზიდავსო მთლიანი სურათი თამარ მეფისა, რომელიც მიართმევს ღვთის-მშობელს გკლესიის გეგმასა“. როგორც ჰქედავთ, ჩვენი ჩვენება სრულიად განხვავდება ბაქრაძის ჩვენებიდამ, მაგრამ ცხადია, რომ ბაქრაძეს ან თვით არ უნახავს ბეთანიის მონასტერი და ან რომელილაც საეჭვო. წყაროდამ უსარგებლნია მოყვანილის სიტყვებითა. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ თამარ მეფის სურათიც არის აქ დახატული, მაგრამ არა მარჯვენა (სამხრეთ) კედელზე, არა-მედ მარცხენაზე (ჩრდილოეთ) და ზემოთ-მოხსენებულის დამფუძნებელის სურათის პირის-პირ. აქ დაცულის თამარის სურათს არც ეკლესიის სურათი უჭირია ხელში, როგორც ამბობს ბაქრაძე, არამედ დახატულია ხელებ გაპყრობილი, ისე, როგორც ცნობილს დაბეჭდილს სურათზე გინახავთ იგი, რომელიც, ბაქრაძისავე სიტყვით, თ. გაგარინს გაღმოუხატია და ყოფილის ნამეტნიკის ვორონცოვის ბრძანებით ქ. ლონდონში აღუბეჭდიათ. აქვე თამარის მარჯვნივ დახატულია ვინმე ვაჟკაცი ფაენითა (სკიპტრათი) ხელში და მარცხნივ — ჭაბუკი. პირველი, ეჭვი არ არის, ქმარია თამარისა, დავითი, ხოლო მეორე — მათი შვილი — ლაშა გიორგი. პირველს აზრში გვარწმუნებს ხუცური ასო ბ (ლ), რომელიც ოდნავ-ლა

ატყვია ფაენის ხვირთან (თავთან), ხოლო მეორე აზრს ცნდა მომდევნობას სამი ხუცური ასო: **ძილი და ღ** (ძმ ღ), ე. ი. აქ თამარისა. ეკლესია შიგნიდამ სულ მთლიად მოხატული ყოფილა; უმეტესა ნაწილი ხატებისა ეხლაცა სჩანს თავ-თავიანთი წარწერებით. ამათი დაწვრილებითი გარჩევა მგონი აგვისტისნიდა მონასტრის აღმშენებელის ვინაობას და ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ ვინმე თრიოდე დღით ამოსული ყო აქ (სულ ოციოდე ვერსია ბრწყნნვალე თბილისიდამ) და ყველა წარწერა გაერჩია.

ამ მონასტრის ღვთის-მშობლის ხატი ამ უამაღ ასვენია თბილისის ქვაშვეთის ეკლესიაში, კანკელის მარცხენა მხარეება. ჩვენ ვნახეთ იგი და მეტად მოგვაწონა. ხატი დიდის ტანისაა, ვერცხლის ჩარჩოშია ჩასული და მეტად ცოცხლად არის დახატული. ხატს აქვს ქართული მხედრული წარწერა, რომელიც ამბობს, რომ „1830 წელს, შეგიმკვევინე ხატი ესე შენ ტაძარისა ღვთისა დედისა ბეთანიას, წინაპართა და ჩვენთა საძვლესა და სასაფლაოსა, მე მსასოფელმან მონამან შენმან დიმიტრის ძემან თავადმან დავით ბარათოვმან გოსტა-ბის შვილმან, საოხად სულისა ჩემისა და მცულლისა ჩემისა ზურაბის შვილის დავითის ასულის ბარბარისსა და საფარველად ძისა ჩვენისა ახპატის მემკვიდრის ზაქარიასსა და ასულისა ჩვენისა თავადის ორბელიანის მეუღლის ეკატერინასსა".

ბატონიშვილი ვახუშტი ბეთანიის შესახებ სწერს შემდეგსა: „ვერეს ხევის შესართავს ქვეით არის ყოვლად-წმიდის მონასტერი, ბეთენია, გუნბათიანი, მაგარს ადგილს, თამარ მეფის აღშენებული, აწ ხუცის ამარ“. ჩვენ შემცდარიდ მიგვაჩნია ვახუშტის ის აზრი, რომ „ბეთენიის მონასტერი თამარ მეფისაგან არის აღშენებული“. სიუნიის მთავარ-ეპისკოპოზი, სტეფანოს ორბელიანი, რომელიც ცხოვრებდა XIII საუკუ. ამბობს: „ბეთენია არის დიდი და კეთილ-ნაგები მონასტერი, ეკუთვნის ორბელიანებს და აღშენებულია მათ წინაპართაგანო“. სტეფანოსი ვარწმუნებს, რომ აქ დიდის



ଫଳକ ଓ ପଦମ.

დიდებით დასაფლავეს ცნობილი ფეოდალი ბაგრატ შეფის IV დროისა (1014—1072), ლიპარიტი. მაშასადამე, თუ და-  
ვუჯერებთ ამ ამბავს, ბეთანიის მონასტერი თამარის მეფობაზე  
(1184—1212) გაცილებით აღრეა აშენებული. მის დროს  
შეიძლება აშენებული იყოს მხოლოდ მოხსენებული პატარა  
საყდარი, როგორც ამტკიცებს ამას ბაქრაძის მოხსენებულს  
თხზულებაში მოყვანილი წარწერა ამ ეპილესისა.

როგორც აქ მოყვანილი სურათიდამაც დაინახავს მკი-  
თხველი, წერის ციხე წარმოადგენს ვიწროდ ამართულს და  
თვალ-უწვდენელ ფრიალო მაღალს კლდეს, რომლის თავზე  
აშენებულია წმ. გიორგის საყდარი. სიგრძე კლდის თავზე  
მყოფი ადგილისა არის 30 ნაბიჯი. ხოლო სიგანე—20.  
ამის-და კვალიად საყდარიც პატარაა: სიგრძე აქვს 9 ნაბიჯი  
და სიგანე—7. ეკლესიის გარშემო ჩვენ ვნახეთ რამდენიმე  
სასაფლაოს ქვა ქართულის შედრულის წარწერით. ეკლესია  
შიგნით მთლად მოხატულია, მაგრამ მდარედ. როგორც მი-  
თხრეს ეკლესიას ჰყავს დიდ-ძალი მლოცვა, განსაკუთრებით  
დღეობაში, რომელიც მოდის 10-ს გიორგობას. ამ დღისა-  
თვის ქ. თბილისიდამაც მრავალი ხალხი მოსდის სალოცავად  
ეტლებით კოჭრის გზა-ტკეცილით. მეტის-მეტი მშვენიერი  
და დიდებული გადასახედებია აქედამ ვერის ხეობის ტყიან  
მთებზე.

ვერის ხეობაში ჩვენ ჩავწერეთ ერთი გრძელი ლექსიც,  
ნათქვამი ზეპირად გიორგი ასიტოვისაგან (წყნეთში მცხოვ-  
რები სომეხია), რომელიც აქვე მოგვყავს სრულად:

„შევიყარენით, სწორებო,  
ბედი ვახსენოთ ღვთისაო,  
წუთი სოფელში ვილხინოთ,  
ქება ვსთქოთ კარგი ყმისაო.  
კართლში აქებდენ აკასა (სახელია),  
პატარუნასა შვილსაო,

## გერის ხეობა ანუ სტეფანია.

მოკეთის გამლაღებელი,  
გამჯავრებელი მტრისაო.  
ღრეში \*) გამართა დარბაზი  
მაგარი მუხის ხისაო,  
ლაზათის გულისათვინა  
ზედ წამაადგა „კრიშაო“.

„გრანიცებშია“ წავიდა,  
ადგილი უნდა ცხვრისაო,  
ცხვარი იქ უნდა წაასხას,  
არ ეშინიან მტრისაო.

იმ ლამეს ნახა სიზმარი,  
თავისი ბედის დღისაო,  
ადგა ძმას უთხრა დავითსა,  
რაღაც რამ საქმე მჭირსაო.

მე-კი შინ უნდა წავიდე,  
დავით, შენ იცი, ცხვრისაო,  
ცხვარს კარგად შემინახვადე,  
აგრემც მოსჭამდე ჭირსაო.

იქიდგან რო წამოვიდა,  
ბედი ახსენა ღვთისაო,  
ისე მოუვა დედ-მამას,  
როგორც რომ შუქი. მზისაო.

დედ-მამა გამოეგებნენ,  
ორთავ აკოცეს პირსაო,  
ჯერ ჰყითხეს თავის ამბავი,  
შემრე თავისი ცხვრისაო.  
ცხვარი მშვიდობით დავყარე,  
ჭირიმე, თქვენი ჭკვისაო,  
მას შემდეგ თვალი მოავლო  
თავის კოლსა და შვილსაო.

\*) ღრე—სოფელია გერის ხეობაში.

## მთგზაური

ხარებსაც ჯვარი დასწერა,  
 მადლი გწყალობდეთ ღვთისაო.  
 ამ დროს მივიდა სიკვდილი,  
 მოსული „გრანიცისაო“.

რისთვის მოხველი, სიკვდილო,  
 შენ რას დადგებ, ვისაო?  
 „გრანიცებში“ გეძებდი,  
 გაქებდენ კაი ბიჭაო;  
 უნდა მე და შენ ვიბრძოლოთ,  
 ბრძანება არის ღვთისაო...

პირველი რომ შეიბრძოლენ  
 სიკვდილი დასცა ძირსაო,  
 მეორედ დასცა სიკვდილმა,  
 ჩანგალს უმზადებს პირსაო.  
 უთხრა,—სიკვდილო, მაღროვე,  
 თუ პირი გიყვარს მზისაო!

მოლოდინი მაქვს კვირასა  
 შორიდგან მოკეთისაო,  
 მემრე წავიდეთ ერთათა,  
 რომ გავისტუმრებ შვილსაო. \*)  
 თუ გინდა ქრთამი აიღე,  
 ფულით იმსე ქისაო,  
 გინდა—საქონლის ნახირი,  
 თუ გინდა—ფარა ცხვრისაო!

სიკვდილმა ის არ მიიღო,  
 ნება არ არის ღვთისაო,  
 ისრე გაფრინდა აკაი,  
 როგორც ვარსკვლავი ცისაო.  
 წინ სწორნი შემოეყარნენ,  
 ბიჭები შავეთისაო (ე. ი. საიქიონი)

\*) ე. ი. როცა გაფათხვებ ქალსათ.

წილის და აჩვენეს  
კარები სამოთხისაო.

სამოთხის კარზე დაუხვდნენ

ანგელოზები ცისაო,

ოქროსი სკამი მიართვეს,

„აკნო, დაბრძანდი ძირსაო!“

ოქროს სუფრა გაუშალეს,

ზედ ხილი ყველაფრისაო,

აიღებს თითო ნაკერსა,

იმით გაიტქბობს პირსაო.

დედ-მამას შამოუთველეს:

თუ პირი გიყვართ მზისაო,

შიომელი ღვიხო იყიდეს,

ზედაშე არის ღვთისაო.



მართლიანობის



შაჰკარეთ ჩემი სწორები,

მაგ ჩენი ხელობისაო,

სულ სადლებრძელო დალიონ

მეცხვარისა და ცხვრისაო...

ფოლადის კალმით დავწერე მი უცდებდი

სამი ქალალდის ფურცელი,

ისე იამოს წამკითხველს,

როგორც კახეთის ყურძენი.

ამ სეირისა გამთქმელი,

გარდალში სკამზე ზისაო,

ხელში უჭირავს ჩონგური,

კარგი ყმის ქებას სოვლისაო..

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

ექვემდება  
 თავისი მიზანი  
 და მიზანი მიზანი

## ისტორიის შესავალი.

იყო დრო, როცა ისტორიის საგანს მეფეების და  
 სხვა დიდებულ და წარჩინებულ გვამთა ცხოვრება  
 უკადგენდა; ხალხი, საზოგადოება, მისი ცხოვრება,  
 მისი მისწრაფება, მისი სული და გული ისტორიიდ-  
 ან განდევნილი იყო. ეს ის დრო იყო, როცა ლიუ-  
 გოვიკ XIII გაიძახოდა: საფრანგეთი მე ვარო; როცა  
 ქვეყნის მართვა-გამგეობა მეფეების განუსაზ-  
 ღვრელ ბატონობაზე ეკიდა, როცა ქვეყნის სათავეში  
 იღვა რომელიმე უმაღლესი წოდება; როცა ერთი  
 ან ერთი წოდება მთელის ხალხის, უმრავლე-  
 სობის ინტერესებს თელავდა და ანადგურებდა.

არსებულ ისტორიულ ხანას თავისი განსაკუთრე-  
 ბული მატერიალური პირობები ამოძრავებენ; ამ პი-  
 რობათა განვითარების მიხედვით განიზომება საზო-  
 გადოების სულიერი, გონებრივი და პოლიტიკური  
 სტრუქტურა. და რა გასაკვირი იყო, რომ ძველ ის-  
 ტორიკოსებს იმისთვის მიექციათ ყურადღება, ვინც,  
 გათი შეხედულობით, ქვეყანას ამოძრავებდა. და ეს  
 ქვეყნის განვითარების მუჯლუგუნის მიმცემი-კი, მა-  
 თის აზრით, მეფეები და წარჩინებული გვამნი იყვნენ.  
 ისტორიკოსები მხოლოდ ამ პირთ ხედვიდნენ გარ-  
 უემო, იმისთვის რომ, ეს პირები მართავდნენ ქვეყა-  
 ნას, ცხოვრების სათავეში ისინი იდგნენ. ხალხის,

უმრავლესობის ხმა, ჯერ არსად ჭაჭანებდა, ის გათელილი იყო, მისი პიროვნება მიმქრალი და მიმალული, მისი მოთხოვნილება განსაზღვრული და შევიწროებული. მაგრამ ისტორიაში დღეს ამ გვარად კითხვის დასმა წარმოუდგენელია. დღევანდელ ისტორიკოსის ოვალთა ხედვის ისარი კანონიერებით და უკანონობით არ განიხომება. ისტორიაში დამყარდა კანონი აუცილებლობის. Ergo, ისტორიას არ აინტერესებს ეს თუ ის ისტორიული მოვლენა კანონიერია თუ უკანონო, სასარგებლოა თუ საზარალო, სამართლიანია თუ უსამართლო. ეს ეთიკის საქმეა. მას აინტერესებს მხოლოდ ჭეშმარიტების აღდგენა, ნამდვილი ფაქტების აღნუსხვა, თუ რამდენად რომელიმე ქვეყნის არსებობა და განვითარება ესაბამება ისტორიულ კანონებს და მის აუცილებლობას.

ყველაფერი ვითარდება, ყველაფერი იცვლება, ობსოლიუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, ყველაფერი განვითარების კანონს ემორჩილება. ჭეშმარიტება მხოლოდ ეს განვითარება და ცვალებადობაა. ხალხის ცხოვრებაც ამ გვარ ევოლიუციას ემორჩილება. ისიც ვითარდება; უმრავლესობა იღვიძებს. და როცა გაიძახიან: ყველაფერი მე ვარ, ყველაფერი მეო, — ამ დროს იგრიალებს ამ უმრავლესობის ხმა: ყველაფერი თქვენ კი არა, ჩვენ ვართ, მაშახადამე, ყველაფერი ჩვენიაო.

დღეს განხილვა და გამოკვლევა ისტორიულად ნიშნავს მეცნიერების სხივის ჩაშუქებას თვითონ ხალხის გულის სილრმეში, განათებას და გაშუქებას

ხალხის ცხოვრებისას. როგორც ზევით ვსტკვით, წინანდელი ისტორია—ბიოგრაფიებია მეფეების. მისი უმთავრესი აზრი: გმირები ჰქმნიან ისტორიას. მაკედონელებმა, ნაპოლეონებმა და პეტრე ღიღებმა შექმნეს ისტორია და თუ არ ისინი, არც საბერძნეთი იქნებოდა, არც საფრანგეთი და არც რუსეთიო. ცხოვრების განვითარებამ წარმოშობა ახალი მიმართულება ისტორიაში, რომელიც აღიარებს, რომ ჭეშმარიტი საგანი ისტორიისა არის არა გმირთა და წარჩინებულ გვამთა ბიოგრაფიები, არამედ ცხოვრება თვითონ ხალხისა, რომელსაც ძველი მიმართულება უარს ჰყოფდა. საკუთარი სახელები, დიპლომატიური ხრიკები ისტორიიდან განიდევნენ; ხალხის, ერის ისტორია პირველ ადგილზე დაყენებული. ისტორიაში დამკვიდრდა სტატისტიკური მეთოდი, დამყარდნენ კანონები, რომელთა გადახვევა ყოვლად შეუძლებელია. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხს სტიქიური ძალა ანადგურებს.

ისტორიის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოების, ხალხის ცხოვრების გათვალისწინებაა.—„უმთავრესი კულტურული და სოციალური დანიშნულება ისტორიისა, როგორც მეცნიერებისა, მდგომარეობს იმაში, რომ უჩვენოს საზოგადოებას მისი ნამდვილი წარსული, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე წყობილების ცოდნა“,—ამბობს ერთი რუსეთის მწერალი და მართალიც არის.

დღევანდელ ისტორიკოსებს იმდენად არ აინტერესებს ხალხის პოლიტიკური ცხოვრება, მისი გარე-

განი ფორმა, რამდენადაც შინაგანი ცხოვრება. პოპ-გმატიული ისტორია ადგილს უთმობს შინაგანს, ანუ კულტურულ ისტორიას. ასეთია დღეს კულტურული ისტორიის დანიშნულება, აღიარებული ყველა ნამდვილ ისტორიკოსების-მიერ.

საქართველოს კულტურული ისტორიის შესწავლა—ეს არის შესწავლა და გაცნობა ქართველი ხალხისა ყოველის მხრით; შესწავლა მისი ცხოვრებისა, ზნე-ჩვეულებათა, კანონებისა, დაწესებულებათა, მართვა-გამგეობისა, ეს არის გათვალისწინება მისის როგორც ეკონომიკურის, ისე პოლიტიკურის ცხოვრებისა; ეს არის შესწავლა ქართველის ერის კულტურულის მოძრაობისა, როგორც წარსულის, ისე თანამედროისა, აწყოსი, რომლის შემდეგაც ადვილი ხდება მომავლის გათვალისწინება. საქართველო იყოფა რამდენიმე ნაწილად, პროვინციებად. ყველა ამ პროვინციების მცხოვრებლები ყველანი ერთს ერს, ქართველ ხალხს, ქართველ ეროვნობას შეადგენენ. და ეს ყოფა კი აადვილებს მთელის ეროვნობის კულტურულად შესწავლას. ამ შემთხვევაში საჭიროა ეტნოგრაფით ვიხელმძღვანელოთ. ეტნოგრაფია მეცნიერებაა. ის იკვლევს სხვა-და-სხვა კუთხეთა ცხოვრებას, ცხოვრებას თვითონ ხალხისას და საზოგადო დასკვნა გამოჰყავს. მაგალითად, შარლ ლეტურნომ თავის „სოციოლოგიის“ კანონები ეტნოგრაფიულ ცნობებზე და გამოკვლევებზე დაამყარა. მაგრამ კმარა ჯერ-ჯერობით. რომ წერილი არ გაგვიჭიანურდეს, ამისთვის ახლავე მას ვაბოლოვებ კარევეის შედეს,

მდევგის სიტყვებით. რომ ქართველმა იცოდეს თავის ქვეყნის ისტორია, ამისთვის საჭიროა: „1) თავის სამშობლოს წარსულის და აწყობის შესწავლა; 2) მისი სხვა-და-სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულება: რა აღვი-ლი უჭირავს მას მთელის კაცობრიობის ისტორიაში; 3) მსოფლიო ისტორიული მსვლელობის უმთავრეს შედეგთა შეთვისება და 4) ისტორიულ ურთიერთობათა განვითარება სინამდვილესთან შედარებით, ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ წარმოიშვნენ თანამედროვე ურთიერთობანი, როგორ ხდებოდნენ საზოგადოდ ისტორიული ცვლილებები და საითკენ მიისწრაფვის მისი ისტორიული ცხოვრება“.

δ, γ

## ს ა ი ნ გ ი ლ ო.

1603 წელს სპარსეთის ხელმწიფემ შააბაზმა „მიუღი კახეთის მეფეს ალექსანდრეს მე-II-ს სოფელი კაკი და მის წილ მისცა შვიდასი თუმანი ყოველს „წელს“ (იხ. ქ.-ცხოვ. ნაწ. 2, გვ. 111). შააბაზი იყო კაცი ცბიერი, მჩურჩნელი, ხვანჯიანი, მანკიერი და ჰსურდა საქართველოს დაუძლებელი. მან აჰყარა ვიაურიდგან და კაკელისენიდგან 100.000 ქართველი და „წარიყვანა აყრილნი ტყვედ და დაასახლა მაზანდარანს გილანს, ხვარასანს და ფერიას“ (იხ. იქვე, გვ. 118). ისკანდერ მუნდჯი მოწმობს, რომ არც ერთს მუსულმანთა ხელმწიფეს არ მოუხდენია ისეთი აოხრება და განადგურება კახეთისა, როგორც შააბაზსაო. მან გასწყვიტა 60—70 ათასამდე კახეთის მკვიდრ მცხოვრებთაგანით.

საინგილოდამ გადასახლებულ ქართველების ნაცვლად ღვთის-რისხვა შააბაზმა დაასახლა დალისტნიდგან მოწვეულნი თანაშემწედ—ლეკები. მათ დაიპყრეს კავკასიის მთის ძირა სოფლები: ბელაქანი, კატეხი, მაწეხი, ფიფინეთი, ფერჯანი, მუხახი, მამრეხი, გუდბარახი, გულლუგი, ზერნა, ლექართი, ყუმი, აღჩიი, ყაშხაჩა და მრავალნი სხვანი. ამის გამო მაპადიანობამ იწყო გაძლიერება საინგილოში, რომელსაც მაშინ ერქვა „კაკელისენი“, ხოლო ქრისტიანობამ—მოუძლურება.

მაგრამ 1674 წლამდე ქრისტიანობა და ქართველობა მაინც ძლიერი იყო საინგილოში, რომელსაც აწ ადმინისტრატებურად ჰქვიან „ზაქათალის ოლქა“. ვახუშტი სწერს: „1674 წელს არჩილ მეფემ უქმნა ძმასა თვისსა ლუარსაბს ქორწილი სოფ. ლილოში რევაზ ერისთვის ასულზე (ჩოლო-

ყაშვილი). მუნ მოუღეს ჭარელებმა ცხვნებით ყინული, მეფე განრისხდა, შეიპყრა და სტანჯა იგინი: აღკიდა კვალად ტვირთად ყინული, და მოაღებინა კვალად მუნიდამცა ტვირთითავე ყინული“ (იხ. იქვე, გვ. 127).

შემდეგ არჩილ მეფისა, კახეთში გამეფდა ერეკლე პირველი, რომელმაც, თუმცა რუსეთში იყო აღზრდილი, მაინც უდალატა ქრისტიანობას. მაგრამ მის გამამაღიანებას კახეთის დიდებულნი არაფრად აგდებდნენ და ძლიერად იცავდნენ ქრისტიანობას და ქართველობას საინგილოში. მოთავენი იყვნენ: ჩოლაყაშვილი რევაზ, მოურავი ქიზიყისა აბელი, მოურავი ელისენისა, აწინდელი ალიაბათის საბოქაულოსი (საინგილოში), მერაბი და სხვანიცა. თუ მოკვდებოდა რომელიმე ეპისკოპოსი, ესენი და სხვა ეპისკოპოსნი ირჩევდნენ სანდო პირს, ხანი\*) ამტკიცებდა მას ეპისკოპოსობაზე და უგზავნიდნენ მცხოვარს კათალიკოზს; ის კავურთხებდა და გზავნიდა კახეთს (იხ. იქვე, გვ. 128). ამ დროს ცვინ იყო საინგილოში ეპისკოპოსი, არა სჩანს. ვიცით მხოლოდ, არომ უკანასკნელი მღვდელი ვაკისა ყოფილა დიმიტრი ხუციშვილი, კაკის მცხოვრები. ის მომკვდარა ვახტანგ მე-VI-ის რუსეთში წასვლის (1723 წელს შემდეგ), რაიცა მტკიცდება იმ ფაქტით, რომ დიმიტრის მღვდლობის დროს ვახტანგს შეუწირავს კაკის ღვთის-მშობლის ეკკლესიისათვის თვის-მიერ გამოცემული (1720 წ.) მხედრული ასოებით სახარება, ფილონი, საათი კალისა, ოლარი, საბუხრეები და სხვა-და-სხვა ეკლესიური წიგნები, რომელნიც აწცა ინახებიან მოფერ კაჭში ხუციშვილთა ოჯახში. თვით მეფე ერეკლე მე-II-ეც იწოდებოდა სამეფო ტიტულში კაკის ბატონად.

\*) 1658 წლიდან 1703 წლამდე კახეთის გამგებელი იყვნენ სპარსეთის ხანები. ისინი ისხდნენ ქიზიყის ბოლოს ეს რაჭა ფშა (იხ. იქვე, გვ. 124).

ეს ისტორიულნი თქმულებანი საქმაოდ მიგვაჩნიან ფაქტის დასამტკიცებლად, რომ მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე ქართველთა მეფეები და სასულიერო წოდება იცავდა ინგილოთა შორის ქრისტიანობასა და ქართველობას.

მაგრამ ისტორიულნი ცნობანი გვიმტკიცებენ, რომ ქრისტიანობა და ქართველობა არ იყო უყურადღებოდ დატოვებული საინგილოში მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის დაწყებამდინაც. მათი მცველნი იყვნენ თვით ინგილოები, ქიზიყელნი და ო. ციციანოვი. რუსეთის მწერალი დუბრივინი სწერს თავის თხზულებაში „1804—1805 წლები“ შემდეგსა: თავადმა ციციანოვმა ჭარელი ლექ्यები რომ დამარცხა და დაიმორჩილა, პირობა ჩამოართვა, რომ ისინი არ დაუშლიან ზაქათალის ოლქის ინგილოებს აღაშენონ ეკლესიები და აღიარონ ქრისტიანობა. ამასვე ამტკიცებენ „Archeograph. акты.“ იქ თნებილოები იხსენებიან ქართველებად და ისრეთ აზრს გამოსთვავს, თითქოდე ინგილოები ქრისტიანები არიანო. მაგრამ მათს ქრისტიანობას უფრო მკაფიოდ ამტკიცებს რუსეთის ჯარის კაპიტანი ციმმერმანი. 1832 წელს ის ყოფილი ზაქათალის პოლკში. როცა ზაქათალის ციხე აშენდა, და შიგ ჩადგა რუსეთის მხედრობაო, — სწერს ის, — მაშინ, 6 იანვარს, პოლკის მღვდელმა პირველად აკურთხა წყალი მღინიარეზეო. ყველა, გარშემო მყოფ სოფლების მცხოვრებნა — ინგილონი მოვიდნენ წყლის კურთხევის სანახვადო. მშენიერი სანახვი იყო მათი ქცევა. როცა მღვდელმა ჩასვენა წყალში ჯვარი, ისინი მისცვივდნენ მდინარეს: ზოგი წყალს სვამდა, ზოგი პირს იბანდა ნაკურთხ წყლით, ზოგი ცას შეჰყურებდა და ჰმადლობდა ღმერთს, რომ ისინი ლირსნი გახდნენ წყლის კურთხევის ნახვისა, ზოგნი კიდევ კოჭებით წყალს იღებდნენ და ჯიბეში ჰმალავდნენ შინ წასალებადო (იხ. სოხ. ციმმერ. ი ნარო. ქავკაზ). 3. იოსელიანი კიდევ გვიმტკიცებს კახეთის სასულიერო წოდების მზრუნველობას ინგილოებზე, კახეთის მღვდელ-მთავარნიო, — სწერს ის,

—და უკანასკნელი ბოლბის მიტროპოლიტი იოანე, არა სტო-  
 ვებდნენ ინგილოებს უნტეშოდ: აღდგომის დღისათვის ისი-  
 ნი უგზავნიდნენ ნაკურთხ წმ. სანთლებს და ულოცავდნენ  
 მათ ქრისტეს აღდგომას (იხ. Путевые я записки по Дагестану.  
 გვ. 15). ეს ფაქტი ახსოვთ ინგილოებსაც და უმატებენ, რომ  
 ჩვენთვის ქიზიყიდვან 30 ნაკურთხი წმ. სანთლი იგზავნებო-  
 და აღდგომის მოსალოცავიდათ.

სწორეთ ამ ხანებში შვიდი ალიბათელი ინგილო მონა-  
 თლულია თავ. შარმაზან აფხაზის ჩაგონებით. მღვდლიდ ყო-  
 ფილა დეკანოზი ბოლბის-ხევისა ნაცვლიშვილი (იხ. Археогр.  
 акты.). ამ ნეტარად სახსენებელს დეკანოზს მალვით უვლია  
 ინგილოების სოფლებში და ხალხი უნათლავს ღამ-ღამბით.  
 მისი მხნე და გამბედავი მოძღვრება ბევრს ინგილოს, რო-  
 მელთაც მის-მიერ ჰქონდათ მიღებული ნათლის-ღება, ახსოვ-  
 დათ თავიანთი ნათლობა 1856 წელს და მღვდელნი მირობს  
 არა სცხებდენ მეორედ, რადგან მირონცხება არ განიმეორე-  
 ბის. ასეთი იყო, მაგალითად, პაპა ჩემი ისააკ ჯანაშვილი,  
 კაცი მხცოვანი, 120 წლისა.

1833 წლებში ინგილოები უთუოდ შეუერთდებოდნენ  
 საქართველოს ეკლესიას, რომ მათ პატრონი ჰყოლოდათ. შვიდი  
 ალიაბათელი რამ მონათლულია, ეს ამბავი შეუტყვიათ ლე-  
 კებს და სდომებიათ არეულობის მოხდენა. ამის გამო მონა-  
 თვლის საქმე ჩატუშულა. მთავრობას თავი აღარ გამოუდვია  
 ინგილოების გასაქრისტიანებლად. მაგრამ ინგილოებს მაინც  
 არ დაუშლიათ თავისი განზრახვა. ისინი პირად მუსულმანები  
 იყვნენ, ხოლო გულით ქრისტიანები. ამ მიზეზისა გამო სო-  
 ფელს კავში, ყორალანში, ალიბეგლოში, მეშაბაშში და  
 სხვაგან მეჩითებიც არა ჰქონდათ აგებული 1864 წლიდე.  
 შვიდ ალიაბათელის მონათვლის შემდეგ ილისოს სულთანს  
 აჰმადხანს აეშენებინა კაკელებისთვის მეჩეთი, გაენწესებინა  
 მოლად ლეკი და ებრძანებინა მეჩეთში იარეთ პარასკეობი-  
 თაო, მაგრამ ხალხს გამოეცხადებინა: „ჩვენ არ ვიცით მაჰმა-

დიანური ლოცვები და მეჩეთში რომ წავიდეთ, რა ვსოდევა-  
თო“. სულთანს ებრძანა: „როგორც მოლა მოიქცეს, თქვენც  
ისე მოიქცითო“. მოვიდა პარასკევი. შევიდა ხალხი მეჩეთ-  
ში. დაიწყო მოლამ ლულლული არაბული სიტყვებისა. მას  
აჰყა ხალხიცა. მოლა გაჯავრდა და ხალხმაც დაიწყო ჯავ-  
რობა. დაუწყო ლანძლვა, ამათაც დედ-მამა ივად უხსენეს  
მას. მოლას აღმული აუვიდა თავში, წასქდა ცხვირიდგან  
სისხლი, მოუჭირა თითები ნესტოებს და წაკუზული გამოვი-  
და მეჩეთიდგან გარეთ. ნესტოებზე თითებ მოჭერილი ხალ-  
ხიც უკან გამოჰყა მოლას. ის მივიდა იქვე მომდინარე  
წყალზე და დაიწყო ცხვირის ბანა. ასრე მოიქცა ხალხიცა.  
გაჯავრებულმა მოლამ გაანება ლოცვას თავი, მივიდა და  
იჩივლა სულთანთან. მან თურმე ბევრი იცინა და მოლას  
უბრძანა: „აქამი ხალხია, თავი დაანებე, ნელა-ნელა თვითონ-  
ვე მოიქცევიანო“. ის კი არ იკოდა საბრალო სულთანმა,  
თუ ხალხს რა ეწადა. მას სულით და გულით ქრისტიანობა  
სურდა. ის ინახავდა მალვით მარიამბისა და დიდ-მარხვას;  
ჰქონდა ხმარებაში სანთელ-საკმელი და დღესასწაულობდა:  
ქრისტიანულ წყალ-კურთხევას და ახალ-წელიწადს. ამ დღეს  
გარედგან მოსულს, კარებზე მომდგარს, გაუთენებლივ, რომელ-  
სამე სახლის, შეიღს სამჯერ ეკითხებოდა ინგილი: „რა მო-  
გაქვს?“ და პასუხად ესმოდა: „ლვთის წყალობა“ და მერე  
სახლში შემოსვლისათანავე ლალადებდა: „შემოვდგი ფეხი,  
გწყალობდეს ლმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“.  
დღესასწაულობდა ფერიცვალებას, მიძინებას, აღდგომას,  
კვირაცხოვლობას და წმ. გიორგობას. ამაების მქონე ინგი-  
ლოს რაში ექაშნიკებოდა თათრის „ყურბან-ბარამი და  
ორუჯი!“ რვა წლისა ვიყავ, მახსოვს, დილით რომ გამომე-  
ლვიძა, ქვეშაგებში ვიპოვე შეღებილი კვერცხი და მარჯვენა  
მკლავზე წმ. სანთლის პატრუქი ბამბისა ვნახე. ვიკითხე და  
დედამ მითხრა: „დღეს აღდგომაზ“. ესა ჰსურდა ინგილოს

და არა მუსულმანობა! ამისათვის მრანგრია კაკის მეჩეთიც და ეკლესია აიშენა წმ. გიორგისა 1855 წ.

ასრე და ამ სახით, უეჭველია, რომ ქრისტიანობა ინახებოდა საინგილოში ქართველთა შორის 1850 წლამდე, მაგრამ მალვით, ფარულიდ.

უბადრუკნი მუსულმანნი ქართველებს ეძახდნენ შააბაზის დროიდგან დაწყებული „ინგილო“ ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „ტნგილოვ“, და ჰერიებდნენ, რომ ისინი იყვნენ მავმადის სარწმუნოების „კათაკმეველნი, პროზელიტნი“. ის კი არ იცოდნენ საბრალოებმა, რომ ინგილოები ეძებდნენ მარჯვე დროს თავის მოძმე ქართველებთან სარწმუნოებით შეერთებისათვის და თავის ვინაობის არ დაკარგვისათვის.

ეს სანატრელი მარჯვე დროცან ინგილოებს დაუდგათ 1850 წელს, როდესაც ქრისტიანობამ აშკარად თავი იჩინა მათ შორის. ამის მიზეზად გახდნენ, ბიძა-ჩემი გიორგი ჯანა-შვილი, მამა მეისტრორი მოსე ჯანა-შვილისა და მისი სიძე ივან-ბაბა ბულულა-შვილი, კაცი დიდის ტანისა და დიდ წვერიანი. ჯეილი იყო, გახდა ავად, ერთ კვირას უენოთ ეგღო და ავადმყოფობაში წვერი ისე გაუთეთრდა, როგორც თოვლი, როგორც ბამბა. ამის მიზეზად ის ამბობდა: ძილში ვიღლიც დედაკაცი მაშინებდა და მეუბნებოდა: „მოინათლე, მოინათლეო“ . ეს ხსენებულნი არნი პირნი მივიღნენ კაკის ციხეში თავ. შალიკა-შვილთან, რომელიც ჯარის უფროსი იყო, და სთხოვეს მოგვნათლეო. მან მისცა იმათ ბილეთი და გამოისტუმრა ტფილისს შეიდი კაცი — სამი კაჭელი, სამი ყორალნელი და ერთი ლალაფა-შელი. ნამდესტნიკად იყო თავ. ვარანცოვი, ეგზარხად — ისიდორე და გორის ეპისკოპოსიდ ნიკიფორე ჯორჯაძე. იმათს სურვილს ქილაქში ეჭვით შექმნებეს და არა ჰერიტაჟი მათთ მონათვლა. „თქვენ რამე ინტერესი გიდევსთ გულშიო, თორებ არ მოინათლებოდითო“, უთხრეს; მაგრამ მათ დაარწმუნეს მთავრობა, რომ სურვილი მათთ წრფელია და უანგარო, და მისცეს პირობა, რომ თა-

ვიანთ გულწრფელობის დასამტკიცებლად ისინი მოიყვანები მომავალს წელს ქ. ტფილისს მოსანათლავად ვექილებს ყოველს საინგილო სოფლიდგან. აღთქმა შეასრულეს კიდევკა. 1851 წელს დიდ-მარხევაში გამოემგზავრა ქილაქისკენ ცხენებით 72 კაცი. მათ შორის 9 ყმაწვილი ვიყავით. ჩვენ წამოგვიყვანეს სკოლაში მისაცემად. დავდექით ავლაბარში, კისერას ბაკებში. მე 9 წლისა ვიყავ. აღდგომა აქ ვიდღესასწაულეთ: ნიკიფორე ეპისკოპოსი წმ. დარიას მონასტერში იდგა. აღდგომა დღეს მან ჩურჩხელები მაჩუქა. მაღალ-მაღალი კაცი იყო, წერწეტი.

არ მახსოვს აღდგომის წინათ მოგვნათლეს, თუ შემდეგ. ხალხი ნაწილ-ნაწილად დაჰყვეს. ზოგი მონათლეს ანჩისხატის ეკლესიაში, ზოგი სიონის საკრებულო ტაძარში. მღვდელი იყო ბასხარაშვილი. საკურთხეველში ბოჭკა იყო დადგმული, წყლით სავსე. დაგვაყენეს ბოჭკის გარშემო რამდენიმე ერთად. აქ იყო ამ დროს თ. ვარანცოვი თავის შეუღლით, ეგზარხოსი ისიდორე და გენერლობა. ჩემ ნათლიად გახლდათ ვარანცოვის აღიუტანტი დიმ. აღექსის ძე ბაშმაკოვი. თ. ვარანცოვის მეუღლე აღსავლის კარების წინ იჯდა სავარძელზე. თითო-თითო ჩავედით ბოჭკაში; როცა წყლიდგან ამოვიდოდით, გრძელი თეთრი ჰერანგი ჩაგვაცვინ. . . . აქ ერთი სასაცილო ამბავი მოჰქმდა: ერთი წარჩინებული ფუშიანი კაცი ბოჭკაზე დაეკიდა. ცოტა დარჩა არ მოკვდა. ასწიეს მაღლა, ამოიყვანეს. კნეინა წამოჰქმდა სავარძელიდგან და მოერიდა სახილველს. ვარანცოვმა ბევრი იცინა.

ნათლობის შემდეგ დაგვირიგეს თითო-თითო საჩერქესკო ლურჯი მაუდისა და ცხრა-ცხრა მანეთი ფულად, და გაგვისტუმრეს სინგილოსაკენ. ჩვენ 9 ყმაწვილი თუქურმიშის შკოლაში მიგვცეს. მას ერქვა: „Школа военныхъ воспитанниковъ“. აქ გვპატრონობდა მოსწავლე დავით აბელიშვილი, აწ „ოტსტავნიი“ პოლკოვნიკი. მაგრამ თრი წლის შემდეგ უველამ დასტოვეს შკოლა, რადგან მათმა დედ-მამამ

აღარ ისურვა მათი სწავლება. ყველაზე პატარა მე ვიყავ. მამა-ჩემმა არ ინება ჩემი უსწავლელობა და მიმცა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. კურსი შევასრულე 1865 წელს. ასრე, 9 ყმაწვილთაგან მხოლოდ მე ვისწავლე. 72 მონა-თლულ კაცთაგანაც მხოლოდ მე ვარ ცოცხალი, მაგრამ ვაი ჩემს სიცოცხლეს! აღარ არიან: თთ. გრიგოლ ორბელიანი, შალიკაშვილი, ლ. მელიქიშვილი, ჯომარჯიძე, ივ. მუხრანსკი. მათის სიკვდილით მოესპოთ ინგილოებს მფარ-ველობაც.

72 კაცის მონათვლისათანავე სასულიერო მთავრობამ დანიშნა სოფ. კაკში მღვდელი. ეს იყო თუში, ოოილ ცისკა-რა შვილი, სემენარიაში კურს შესრულებული. ის მოვიდა სოფ. კაკს 1851 წელს, ზაფხულში, და დაბინავდა კაკის ციხეში, საცა მრავლად იყო აფიცრობა ქართველთაგან. ხალხი მზად იყო. შეუდგა იოთლი კაკელების ნათვლას. ცი-ხის გარეთ მოთხრილი იყო ემბაზად დიდი გუბე და ფიცრით აკრული ჰქონდა გვერდები. ერთი მხრიდამ წყალი ჩადიოდა შიგ, ხოლო მეორე მხრიდამ გადიოდა სავსე გუბიდგან. მღვდელი მის გარშემო აყენებდა ხალხს, ჰკითხულობდა ნა-თლობის ლოცვებს და დროზე თითო-თითო იბანებოდნენ შიგ, მერე ამოდიოდნენ და მღვდელი მირონს სცხებდა. მეორე წელს ამისთანავე ემბაზი გააკეთეს ივან-ბაბას ეზოში. აქ მოინათლნენ ჩემი დედ-მამანიცა.

ამავე დროს კაკში დანიშნეს მეორე მღვდელად სემენა-ნარიელი დიმ. ბეგიაშვილი, ჩემი მასწავლებელი და კაც უანგარო. ამას მოჰყვა მესამე მღვდელი, აგრეთვე სემენარი-ელი, გრიგოლ ლამბარა შვილი....

1851 წლიდგან ვიდრე 1860 წლამდე თითქმის ყველა ინგილოები შეუერთდნენ საქართველოს ეკლესიას. მოინა-თლნენ აგრეთვე მრავალნი ლექნიცა და თათარნიცა. ამის გამო გაიხსნა რვა სამრევლო. გამრავლდნენ მღვდელები.

ქრისტიანობაზე გულის ამაცრუებელ მიზეზებს ზედ და-  
ერთო ის გარემოებაცა, რომ ვინც მოლად არ ყოფილიყო,  
იმას პენსია დაუნიშნა ადგილობრივმა მმართველობამ წელი-  
წადში 150 მან, ხოლო იმათ უარი ეთქოთ, ვინც ნამდვილად  
მოლად ყოფილიყვნენ. ამ უსამართლობაზე ასტყდა ერთი აყალ-  
ლი და უსიამოვნება ახალ მონათლულ ინგილოთა შორის.  
ნამდვილად მოლად მყოფნი ინგილონი სამართლიანად ეუბ-  
ნებოდნენ ადგილობრივ მმართველობას: „ჩვენ მოლად ვიყა-  
ვით და სოფლიდგან წლიური შემოსავალი გვქონდათ, ხოლო  
ქრისტიანობის მიღების შემდეგ ყოველივე სახსარი ცხოვრე-  
ბისა მოგვესპოო, ამისათვის ჩვენ გვეკუთნდა პენსია და არა  
იმათ, ვინც არასოდეს მოლად არ ყოფილანო“. ამასთანავე  
შეეხენ ინგილოების თავმოყვარეობას. მას ლეკი და თათარი  
თვალით დასანახვად ეჯავრებოდა, ხოლო ქართველნი მო-  
ხელენი ლეკებად რაცხდნენ იმათ. ინგილოები ქართველებს  
უახლოვდებოდნენ და ქიზიყს ემოყვრებოდნენ, ხოლო ჟარ-  
თველნი უარს ჰყოფდნენ მათს ქართველურ ჩამომავლობას!  
რასაკვირველია, რომ ქართველების ასრეთს გაუტანლობას  
რ ექნებოდა და კარგი შედეგი. ასრეც მოჰედა. „თუ ჩვენ ლე-  
კები ვართ შთამომავლობით, მაშ ხჯობს ისევ ლეკებს დავუ-  
ახლოვდეთო“, — ეთქვათ ინგილოებს სოფ. ალიაბათში ერთს  
სახალხო კრებაზე. მოჰედა ცვლილება ინგილოების კუუ-  
გონებაში. დაიწყო ხალხში ჩოჩქოლი და უკმაყოფილო მო-  
ლების ჩაგონებით 1863—4 წელს უარი ჰყვეს ქრისტი-  
ანობა შემდეგმა სოფლებმა: სოსკანმა, მარსკანმა, ლალაფაშმა,  
თასმილომ, ზაგანმა, ვერხიანმა, ალიაბათმა, იენგიანმა, მო-  
სულმა, ბელაქანმა და მრავალთა სხვათა; დარჩნენ ქრისტია-  
ნებად მხოლოდ სოფლები: კაკი, ალიბეგლო და ყორადღიანი  
(ნახევარი). ასრე გაუქმდა 1864 წელს 5 სამრევლო, დარჩა  
მხოლოდ სამი: კაკი, ალიბეგლო და ყორადღიანი. ეს უკანას-  
კნელნიც უთულდ გადადგებოდნენ, თუ რომ 1867 წელს, ამ  
სტრიქონების დამწერს თავგამოდებით არ ემოქმედნა ქრის-

ტიანობის დასაცველად. მან თან გაიყოლა მედავითნე ივანე რაზმაძე და მივიღა „ულთოთა ჩეკრებაზე“, რომელზედაც ხალხს ქრისტიანობის უარ-ყოფაზე ჰქონდა ლაპარაკი. მთვარიანი ლამე იყო. მისვლისათანავე ის მიესალამა დინჯათ, წყნარად ხალხს და მერმე უთხრა: „რასა აკეთებთ, ძმებო, აქ, ამ შუალამისას? ლამ-ლამობით კრების მოხდენა მალვით წინა-აღმდევით კანონისა. თუ რამე გაქვთ გასაჭირი, მე მითხარით, შეყარყობინებ მთავრობას და თქვენს გულის სატკიფარს ის მალამოს დაადებს. მე შევიტყე, რომ თქვენ ქრისტეს სჯულის უარ-ყოფა გწადიათ. არა, ძმებო, მამას ნუ ინებებთ. 250 წლის განმავლობაში ჩვენმა მამა-პაპამ უცვლელად ქრისტიანობა დაიცვა. ამ მხარეს, თუმცა ისინი იყვნენ შუაში ბო-მწყვდეულნი მუსულმანთაგან და იყვნენ პირით გამოუთქმელს წვალებაში და ტანჯვაში. ამ ულმობელ დროს ისინი მხნედ იყვნენ და ალიარებდნენ. ქრისტიანობას, კისერს არ უდრეკდნენ მტარვალთ,—ახლა ჩვენ რა დაგვემართა? რა მოხდა დღეს ისეთი, რომ განგიზრახავთ მამა-პაპის სჯულის უარ-ყოფა? დღეს რუსეთის ხელმწიფის ხმლის შიშით მოლად მუსულმანობა თახთახებს, დაღესტანიც რუსეთის ტახტს ქვეშ გაეგო, — ჩვენ კი ახლა ვღალატობთ ქრისტიანობასა და ქართველობას? ასრუთ ქცევისათვის ჩვენ წინაპართ რა ვუთხრათ, როცა მათთა-თნა ჩვენც განვისვენებთ? ნუ თუ ჩვენ უნდა გავაცალკავოთ ჩვენი სამარები? ნუ თუ ჩვენ უნდა მივაცურთხოთ მათ სამარებს და წითელ-წვერა მოლას გვერდზე მოუწვეთ! არა, ძმებო, ნუ ინებებთ ამას. ადექით ყველანი, ეხლა შინ წადით, ხევალ მოდით ეკლესიის ეზოში და მოვილაპარაკოთ“. ხალხმა შეისმინა რჩევა და იშლებოდა კრება; მაგრამ ამ დროს ადგა ივანე საკნელაშვილი, კიცი ცოტიანის ხასიათისა, და ორჯელ ჯოხი დამარტყა თავში, მაგრამ მადლმა სულის წმიდისამ დამიფარა. მე არა მევნო-რა. უკეთურთ, თურმე გ.ნზრახვა ჰქონიათ ჩემის მოკვლისა. ეთქვათ: „ის ფიცხი კაცია; თუ წინააღმდეგა ჩვენს განზრახვას, შეუ-

რაცხ-ყოფა მივაყენოთ. ის ვერ მოითმენს, პასუხს გაგვცემს და მაშინ ჩვენც მივესივნეთ და მოვკლათო“. მაგრამ გაუ-ცრუვდათ ბოროტი განზრახვა. მე კვერთხზე დაუყდებული ვიდექი უძვრელი და წენარად. და როცა ჯოხს მარტყამდა საკელაშვილი, ვეუბნებოდი მას: „დაჰკა! დაჰკა! მაგისი ბრალია“... მერე მივუბრუნდი ჭანკა ბულულიშვილს და ვკი-თხე: „კაცო! ვერა ჰქედავ რასა შვრება ივანე? რატომ არ დაიკერ?“ მაშინ გადმოდგა ჩემთან ივანე ქორფაშვილი დიდის ხანჯლითა. მაღალი კაცი იყო, შევხედე პირში და ალერსი-ანათ დავეკითხე: „რაო, ძმაო ივანე? ხანჯლით რას დადიხარ?“ გაფითრებულმა და გაყვითლებულმა მიპასუხა ამოოხვრით: „მღვდელო! დავილუპენით... მე ასე არ მეგონა“... — „შენ რაა, ძმაო, რაში ხარ დამნაშავე, რომ ჰშიშობ“. მაგრამ მი-სი ბოროტი განზრახვა კარგად მესმოდა, და განგება უფლისა მფარვიდა და ჭკვიანად, და არა გულ-ფიცხად, მაღაპარა-კებდა.

ამ უბედურმა შემთხვევამ ხალხი დააფრთხო და კრება დაიშალა. მე წავედი მამასახლისთან (მუსულმანი იყო), გამოვუ-ცხადე ეს უსიამოვნო შემთხვევა და მაშინვე დავბრუნდი. გზა-ზე შემომხვდა ნიკოლოზ თამაზაშვილი, რომელიც „უღვთოთა კრების“, ერთი მოთავეთაგანი იყო. მიმიწვია სახლში ვახშამზე. დიდ-მარხვა იყო. დავსხედით ცეცხლა პირას. ჭინჭრის ხინკალი ჭქონდათ გაკეთებული ნიგზით. კარგი საქმელია, ვიღრე ჭინჭარი ქორფაა. მოჰქმდეს ახალი ქვევრი. ვახშამზე ბევრი ვილაპარაკეთ საკელაშვილის ქცევის გამო. ივანე ქორფა-შვილიც აქ ბრძანდებოდა, რადგან ნიკოლოზის ცოლის ძმა შეილიც აქ ბრძანდებოდა, რადგან ნიკოლოზის ცოლის ძმა იყო, მაგრამ ძალიან პირშავად იჯდა, ოხრავდა და მალ-მალ მეკითხებოდა: „მიკვირს, მღვდელო, როგორ მოითმინეო...“ ამაზე მე ვუპასუხე: „მეცნიერი იყავით, ვითარცა გველნი, და უმანკო — ვითარცა მტრედი“, გვასწავებს სახარება. ქრი-სტი იმასაც გვეუბნება მღვდლებს: თქვენ დევნას დაგიწყებენ,

სამართალში მიგცემენთ, მაგრამ პასუხს წინათვე ნუ დაამზადებთ: ღმერთი თვითონ ჩაგავონებთ, რაც უნდა სოქვათ მოსამართლის წინაშეო. „მახვილის მხმარებელი შახვილითვე მოკვდებაო“, უთხრა იმან პეტრე მოციქულს. ამის თქმაზე კიდევ ამოიოხრა ქორფაშვილმა.

ვახშმის შემდეგ მე შინ წავედი და მამასახლისი დავიძარე. მოვიდა ის ღმის 12 საათზე და თან მოიყვანა თავიანთი მოლა და რამდენიმე ოჯახიშვილი, ზოგი ქრისტიანი და ზოგი მუსულმანი. მთხოვეს: „აპატიე ივანე საკნელაშვილს შეურაცხყფა, რომელიც შენ მოგაყენა თავის უგუნურებითაო“. „ძებო! — დავიწყე მე. — 1851 წელს ვიწყეთ ჩვენ გაქრისტიანება ჩვენისავე საკუთარის სურვილით; ინგილოები ყველანი მოვინათლენით, მაგრამ 1863 და 1864 წლებში ისევ გადადგა ჩვენი ხალხი და მიიღო მუსულმანობა. მე სემინარიაში ვსწავლობდი, ეს სამწუხარო ამბავი რომ მოჰქდა. მე ძლიერ მეწყინა და გადავსწყვიტე ვკურთხეულ ვყოფილვიყავ მღვდლიად, მოვსულვიყავ და თქვენ შორის ქრისტეს სარწმუნოება დამეცვა. ასრე განვიზრახე მე თქვენის სიყვარულით, მაგრამ დახე უბედურებას: ახლა თქვენ განგიზრახავთ ქრისტესთვის ღალატი! მე ვერავის მივცემ ნებას მაჰმადის სჯული მიიღოს, უარ-ჰყოს ქართველობა და გათათრდეს. მე ვერ შემაშინებენ ჯოხები; ვიდრე პირში სული მიდგას, უნდა ვიყო მცველი ქართველობისა. გზა მღვდელობისა ეკლიანია, ვიდრე ქვეყანა არსებობს, მტვდლები ყოველთვის დევნულნი იქნებიან, ასრე იწინასწარმეტყველა ქრისტე ლმერთმა. მაგრამ მე მაინც სარწმუნოება ნებას არ მაძლევს, მტერობა გავუწიო იმას, ვინც მე უსიამოვნებას მომაყენებს. ამისათვის ვაპატივებ დანაშაულს ივანეს. მაგრამ ერთი გარემოება და მოსაზრება ნებას არ მაძლევს დაუსჯელად დავსტოვო ჩემი მღვდლობის შეურაცხყფი ყველამ იცით, რომ ჩვენს ოლქაში სცხოვრებენ: ლექები, თათრები, სომხები და მრავალნი სხვანი. ესენი ყველანი შეიტყობენ, რომ თქვენს ყორალანში მღვდელს ჰგვე-

მეს. დამნაშავის ქცევა დაუსჯელად რომ დარჩეს, ქრისტეს ეკლესიის მოძღვართ აეყრებათ პატივი, დაჭკარგავენ ისინი მნიშვნელობას, მათ სახელსა და სიუყვას აღარ ექნება გავლენა, და ყველასთვის სასაცილო გახდებიან. სულიერთა მამების გასაცილოებას არც ხელმწიფე ინტებს და ნურც თქვენ ისურვებთ. მღვდელს ისეთი პატივი იქნა ქრისტიანობაში, რომ მას ხელზე ჰკოცნიან ტილიცა და პატარაც, მოხელენიცა და მთავარნიც. აღადგინეთ მისი სახელი, მისი მნიშვნელობა და პატივი, მაშინ ისიც შეუნდობს შემცოდეს. მე გირჩევთ დამნაშავეს ჯარიმა გადაახდევინოთ. ჯარიმები თქვენში ხომ აღათათ არის მიღებული რამე დანაშაულისათვის. ივანე საქონლის პატრიონია. გამოართვით ხუთი ზვარაკი: ერთი დავკლათ ყორადანში, საცა მან მე შეურაცხყოფა მომაყენა, მეორე კაცში, მესამე ქარში, მეოთხე ბელაქანში და მეხუთე ალიაბათში, რომ ყველამ შეიტყოს თქვენ ჰსჯით საკნელაშვილს უკადრისად და კადნიერად მოქცევისათვის. ეს იქნება კარგი მაგალითი სხვებისათვის და მღვდელიც დაცული იქნება შემდეგში შეურაცხყოფისაგან. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩემი თავმოყვარება არ მათქმევინებს დამნაშავის დასჯას. იმან მე კი არ მომაყენა შეურაცხყოფა, არა მედ ქრისტეს ეკლესიას და ანაფორას, რომელსაც მე ვატარებ“. მოეწონათ ჩემი ლაპარაკი. გაიქცნენ დამნაშავესთან, მაგრამ მას ამაყად ეთქვა: „ჯარიმად ერთ ქათამსაც არ მიგსცემო“.

ამის შემდეგ მამასახლიის ჯაფარა საკნელაშვილი, გათარებული 1864 წელს, რამდენიმე სხვა პირნიც და აგრეთვე ივანე ქორფაშვილი, რომელიც ხანჯლით გადმოვიდა ჩემსკენ ავის განზრახვით, გავიყოლე თან და მივედით ს. ალმალოში ბოქაულთან. შევაღვენინე ოქმი, ხელი მოვაწერინე ქორფაშვილს, როგორც მოწმეს და დამსწრეს. მეორე დღეს გავუგზავნე ზაქათალაში ოლქის უფროსს საჩივარი. შეიტყეს ქალაქშიაც „Горское управ.“ მოხელეებმა. დანიშნეს გამო-

მძიებლად ზაქათალის ოლქის უფროსის თანაშემწე პოლკოვ-  
 ნიკი რიჩკოვი და ბლალ. პეტრე კონკოშვილი, ღირსი მწყემსი  
 ეკალესისა და აწ სახელოვანი დეკანზი და სჯულის მას-  
 წავლებელი კეთილშობილთა ქალების ინსტიტუტისა. მღვდე-  
 ლი ცნობილ იქმნა უდანაშაულოდ და თავგანწირულ მცვე-  
 ლად ქრისტიანობისა, ხოლო ივანე საკანელაშვილი და ივანე  
 ქორფაშვილი დამნაშავედ. პირველი ციმბირში მოკვდა, ხო-  
 ლო მეორე ზაქათალის ციხეში. მე ვსთხოვე მათს იმპერა-  
 ტორობითს უმაღლესობას მიხეილ ნიკოლოზის ძეს მათი პა-  
 ტივება, მაგრამ პასუხად ჩემის თხოვნისა ბრძანეს: „შენი ვა-  
 ლი იყო პატივება, როგორც მღვდლისა, ხოლო კანონი არ  
 აპატივებს“.

უსიამოვნო შემთხვევები ასრედ დაბოლოებამ ინგილოები  
 ძალიან შეაშინა. კაკელებმა, ალიბეგლოელებმა და ყორალ-  
 ნელებმა ვეღარ გაბედეს გადადგომა. ისინი დღესაც ქრის-  
 ტიანები არიან. ღმერთმა აცხონოს დ. ს. სტაროსელსკი! ტიანები  
 ქრისტიანობის დაცვაში იმანაც დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა.  
 ქრისტიანობის ნუხელი ფანატიკოსი მოლა განაძევა მან საინგილოდ-  
 ბევრი ნუხელი ფანატიკოსი მოლა განაძევა მან საინგილოდ-  
 გან ჩემისა და დეკანზის პეტრე კონკოშვილის თხოვნით.

ეხლა საინგილოში ოთხი-ლა სამრევლოა. ხუთი დაიკვეტა  
 1863 წელს. 14.652 სულიდგან ქრისტიანობენ და ქართვე-  
 ლობენ მხოლოდ 3485 სული ორივე სქესისა. მაგრამ ვად  
 იმათ ქართველობას! ისინი მოწყვეტილნი არიან ქართველთა-  
 გან. დაობლებულან, პატრონი აღარა ჰყავთ, თვისტომნი  
 ქართველებიც მონათესავე ხალხად არ იცნობენ, ლეკებს  
 ეძახიან. იმათ სწყინთ ასრეთი წოდება, მაგრამ ქართველები  
 გულ-გრილად ეპყრობიან მათს პროტესტს, რადგან არ გაე-  
 გებათ, რას ნიშნავს მიმხრობა, შეთვისება, ზურგის გამაგრე-  
 გებათ, რას ნიშნავს მიმხრობა, შეთვისება, „ზურგის გამაგრე-  
 ბა და გაძლიერება ეროვნებისა. არა ერთხელ თვით ამ სტრი-  
 ქონების დამწერს თავის ყურით გაუგონია: „ეგ (ვითომ მე)  
 ქონების დამწერს თავის ყურით გაუგონია: „ეგ (ვითომ მე)  
 ლეკიაო“, როცა ვისმეს უკითხავს ჩემი ვინაობა. დიალ! ასრე

იცნობენ ინგილოებს კახეთში, ქიზიუში და ქალაქში, არამედ განათლებულნიც.

ამ გვარმა უცნობლობამ და ისტორია-გეოგრაფიის უცოდინარობამ ის ცუდი და სამწუხარო შედევები იქონია, რომ ქრისტიანი ინგილოები აღარ დადიან კახეთს „ალავერდობაზე“. ქართველთ მიერ წინ დაუხედავ წოდებამ ინგილოებს ეკლესიაც შეაძლოა. „ალავერდობას რომ მივდივართ, — ამბობენ ინგილოები, — ქართველები ჩვენ ლეკებს გვეძიანო. ამისათვის იქ აღარ წავალთო“. ამ აღარც მიდიან. მათ ააშენეს სოფელ კაკში ახალი ეკლესია და უწოდეს „ალავერდი“. ა. გველე-სიანის შემწეობით. 14 სექტემბერს ხალხი ახლა აქ დღესას-წაულობს „ალავერდობას“.

კეშმარიტად რომ სამწუხაროა და სატირალი ასრეთი მოვლენანი. მე-XIX საუკუნემ ბევრი ამისთანა დაღი დასდო ქართველობას. 12-მა ათასმა ინგილომ დაჰკარგეს ქრისტიანობა და ხალხოსნობა ზაქათალის ოლქში. ნუხის მაზრაში მყოფმა ქართველ ტომის უდებმა მიიღეს სომხერი სარწმუნოება, ენა და ხალხოსნობა უპატრონობისა გამო, და ქართველთ კულტურის ქრისტიანული არქეოლოგიურნი ნაშთნი ზოგნი ფხიზელმა სომხებმა დაიჩემდს, ზოგნი აოხრდნენ. ყაზახ-ბორჩალოში და სომხეთში განადგურდა ქართველობა, აოხრდა სოფლები, დაიყიდა მამულები და ქრისტიანულ არქეოლოგიურს ნაშთებს სომხები დაუპატრონდნენ (იხილე „ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები“ ბ—ისა), სამცხე-საათაბაგოში ქართველები ზოგნი გათათრდნენ, ზოგმა სომხობა მიიღო უპატრონობისა გამო, ზოგთაც რომის კათოლიკობა. ჯავახეთში, ახალციხის მხარეს და მრავალგან სხვაგან ქართველთ მიწა-წყალზე დასახლდნენ უცხო ტომნი.

ინგილო ჯანაშვილი.

## სატიკრალი ანუ გასვენება.

მიცვალებულის ზარით გასვენება ასე იციან: მტერ-  
 მოყვარე, ყველა თავისიანი, უცნობი თუ ნაცნობი მოპატი-  
 შებული (მოწვეული) ჰყავთ დასაპატიუებელი ბარათებით. <sup>1)</sup>  
 რასაკვირველია, მათ გასამაპინძლებლად პურით და ლვინით  
 წინ-და-წინვე მომზადებული არიან, მზად ხვდებიან მომსვ-  
 ლფლო (წვეულთ). მისვლაც ასაბით იციან და უასაბიოდაც,  
 კერძოდ. ასაბიას იმ კრებულს ეძახიან, რომელიც მოტა-  
 რალს ახლავს. რომელიც ახლო ნათესავია მიცვალებულის,  
 ვისაც გამოჩინებულად უნდა მოვიდეს, იმან რამდენიმე სხვა  
 კაცი, გრეშე უნდა გამოიყოლიოს თან, უკეთ, იახლოს  
 (რომ მხარი დაიმშვენოს). რაც გამოსაჩენი კაცია მოტირალი  
 და მოსარიდალი თვით გადაცვალებულიც, მით მეტ-რიცხვო-  
 ვანია ეს ასაბიაც. გარეშე ანუ უბრალო მოტირალი თავის  
 ოჯახობის (ოჯახს) გარეშე, სხვას არავის წამოიყვანს; მარტო  
 ერთი ოჯახის უფროსი მივა, ანუ და მთელი ოჯახობა წამოვა.

მიცვალებულს საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილს <sup>2)</sup>),  
 კუბოთი შუა-გულ ტახტზე. ოთახში (თუ აქვთ, თუ არა და  
 სახლში) ასვენებენ. დანიშნულს, ე. ი., გასვენების, დღეს

1) აქ ამ ბარათებს წიგნებს ეძახიან. „წიგნი მოგვივიდან“, — ასე იტევან ხოლმე, წიგნები დაწერესთ და სხ.

2) რაც კა რამ სათვალი გრაჩნია მიცვალებულს, თუ რაშ  
 უვარდა სიცოცხლეში, უგელავერს კუბოში ჩაატანებენ. თითქმი  
 იქცე ესაუგარღებოდეს მას! ხშირად კუბის ნაირ-ნაირ რაგინდარათ  
 ააჭსებენ, ზოგი უგლსაც კა ჩაატანს, თორემ მის საკუთრება ტან-  
 ფების სამკაუჭს, ოქრო-ვერცხლოულიას ვიდა დასდევს!

უთენია თუ ღამოულა ისევე, ჯერ რომ კარგად არ გათენე-  
ბულა, გამოვლენ ჭირისუფლები, ყველა—ვინც-კი თავდგმუ-  
რია,—ასე ვსთქვათ,—მიცვალებულს პატრონობს, მის გასვე-  
ნებას „თავ-დარიგობს“, და სათითოულოდ მოიტირებს თითო  
პირს. ყველა აბლავლდებიან, აჯღავლდებიან, ყველა ერთად  
და მით კუთხე-მეზობელს აცნობებენ: დროა ახლა, მობრ-  
ძანლით და გვანუგეშეთო. და ისინიც, რაღა ლაპარაკი უნდა,  
თავის გზას გაუდგებიან. ამ გამცხოველებულ ტიტილს გა-  
ცხადებას ეძახიან, ე. ი. სიგნალს, ნიშანს. მივით-ხოთ მისი

ჭირისუფლები რაკი მოიტირებენ ერთს, ჩამწკრივდებიან  
კუბოს ახლო, მორთულ-მოკაზმულები, დაშავებულები და  
თმა გაწეწილნი.. უკაცრავად, წამომცდა!.—თმა—გაშლილი.  
თმა ლამაზად<sup>3)</sup> აქვთ ჩამოვარცხნილი, განგებ ბეჭებზე და  
მკერდზე გადაყრილი. მათ სიმწრით კი არ დაშლიათ იგი,  
გამწარებულთ რომ გაეკრათ ხელი და გაეწეწათ, არა—ჩვეუ-  
ლებით! (ფერ-უმარილიც არ აკლიათ!) თავით კაცები სხდე-  
ბიან, ფეხთით ქალები. პირველ ადგილს, ვინც მთავარ-პაპა  
ოჯახში—მამა, ქმარი ანუ უფროსი შეიძლი, ისა ზის ჭირის-  
უფლად და სხვები კი მის შემდეგ, მიყოლით, თავ-თავის  
ადგილს, თავის ლირსებისა და გვარად; კაცების მერე ამავე  
რიგით — ქალები. დაბლა ცარიელ ადგილს ტოვებენ შემომა-  
ტებულ ჭირისუფალთათვის. ჭირისუფლად დაჯდომა ყველას  
შეუძლიან, ვინც მოისურვებს, ვისაც გული მოეწვის, მაგრამ  
ოჯახის გათხოვილს, ახლო ნათესავს, (სიტყვით,) გულითად  
მოტირალს თუ გულითად ნათესავს ჭირისუფლად დაჯდომა  
ვალად დევს. ესენიც უსათუოდ თმა-გაშლილი მოდიან, და-  
შავებული, რაც ნიშანია მათის გულითატის მწუხარებისა. და

<sup>3)</sup> ზოგს აგერ აქვს მზად სარკე-საგარცხელი, ერთს მიუბრუ-  
ნებს უქან შირს და იხედება სარკეში — გლასად არაფერი მქონდეს  
და თუ რამ შენიშნა უშნოდ, იქვე ისწორებს, ივარცხნის თმის,  
ილამაზებს სახეს. ხშირად „ფერ-უმარულსაც“ კი იცხების იქვე.

ტირილს შემდეგაც ჭირისუფლად ჯდება, დამხდურიც ირი-დებენ და მის შესაფერ აღგილს უთმობენ, თუ არა და თავისუფალ აღგილს ძებნიან.

ჭირისუფლები დაშავებულია ყველა, თავ-შიშველი, ქალები თმა-გაშლილი, კაცები გულ-შეხსნილი (საკინძე ყველას შეუბნეველი აქვს, შებნევა ცოდვაა, —იტყვიან), ფეხ-შიშველი<sup>4)</sup> (ცოდვაამ). მორჩებიან თუ არა ამ გაცხადებას ანუ გაიცხადებენ თუ არა, ჭირისუფლები დაცხრებიან, დაოკდებიან, თავ-თავის აღგილს დასხდებიან და უცდიან მოტირლებს. სხვები-კი თავ-თავის საქმეს შეუდეგება: წინადლით განაწილებულ საქმეს თუ მინდობილობის აღსრულებას იწყებენ, სისრულეში მოჰყავთ. ამათში ერთი წყება კარში მოსამსახურეა — სამზადისს მორჩებობს, ამწყაზრებს, იჯრის საქმეს, მასპინძლობს მოტირალთ; მეორეც შინა-კაცობს: მეკრე, ჩამყოლი და მოზარეა.

ორი კაცი მეკრეა, კარზე დგას, მოტირალთ აცნობებს გარეთ ტირილის დროს: ტირილის რიგს და წესს იცავს, უთავ-ბთლოდ არვის უშვებს შიგნით სატირლად. მოსწრებაზე როდია საქმე. ვინც აღრე მოსულია, ვინც მოსარიდალია, ჯერ ის უნდა ატირონ და მერე სხვა, შემდეგ. ამიტომაც ყველა სათითოულოდ რიგით და წესით შეჰყავთ შიგ მოტირალი; რიგი რომ ტირის, რიგი მაშინ კარში გულ-ხელ-დაჭლობილი იცდის და ეს რომ ათავებს ტირილს, ის მაშინ შემოჰყავთ (სატირლად). შიგნით რომ ტირილს ათავებენ, ის კარში გასძახის — „მობრძანდითო!“ და ისიც იმას იღებს, ვინც პირველ (უწინ) მოსულია ან უფრო მოსარიდალი.

<sup>4)</sup> ფეხ-შიშველ ჭირისუფლებას გლეხობაში თუდა ნახავთ, იმასც ძველებში, კაცებს ტიტველი ფეხი უდგიათ მხოლოდ წესად ქუსლ-ჩაგეცილ წუღებში, თორემზებოს ფეხ-შიშველ გაუთლა შემდეგ გადავარდა, აზნაურობაში და გარედ-გასულ გლეხობაში ვეღარ შესვდებით.

ტირილიც სათითოულოდ იციან; ორ-ორი შედის ერთად და მეტიც, მხოლოდ მათში მოტირალი ერთია, დანარჩენები ჩამყოლია. თუ არვინ ახლავს სხვა, თავისიანი მოტირალს, მაშინ ერთი მეკრეთაგანი — სხვებიც არიან მიმზადილი, — შემოეგებება კარში მოტირალს, მკლავში ხელს მოჰკიდებს და შემოუძღვება შინ. ჯერ მიცვალებულთან მიიყვანენ, გულ-ხელ-დაჭიდობილი მოტირალი ჯერ მიესალმება, მერე იჩიქებს მუხლებზე და მოთქვამს მოტირალი. რომ შეატყობის ღროს — ეყოფათ ტირილი, ჩამყოლი მოჰკიდებს ხელს, აყენებს. ის არ ჰყვება, „ფეხს იდგამს“, მაგრამ ძალით აყენებს (ვითომ), სწევს მაღლა — „კაი, კმარაო!“ — ეუბნება და ისიც ნებდება (აცლის ვითამ და გულ-წასულს მოტირალს აგლეჯს კუბოს). მერე გზას უჩვენებს ჭირისუფლებისკენ: ჯერ უფროსთან მიიყვანს, ისიც წამოდგება, თუ მახლობელია — ქალები-კი ყოველთვის — მოეხვევიან ერთი-მეორეს და შესტირიან.<sup>5)</sup> და ამ რიგად სათითოულოდ ყველას ჩამოუვლის, ყველა ჭირისუფალთან ჩამოატარებს, ყველას შესაფერს სიტყვას ეუბნება, ანუგჟებს და ამ რიგად მიაცილებს კარებამდი. ამ დამტარებელს ჩამყოლს ეძახიან; ხამ კაცს გზას უკვლევს, გამწარებულ მოტირალს, მწუხარებით გონება-დაფანტულს, ხელს უწყობს გამოფხიზლდეს; ტირილით შეწუხებული თავ-დავიწყებიდან გამოჰყავს, გამწარებულს ხელს უშლის — ურიგო არა ჩაიდინოს-რა... ზოგმა მაინც გაჭირვეულება იცის! ბევრი სიმწარით, თუ განგებ, თავ-პირში იშენს ხელს<sup>6)</sup>), შემოხველისას კარებზე ახეთქებს თავს, ფრჩხილებით ლოყებს იკაწრავს, თმას გაიკრავს ხელს, იბდლვნის და კუბოზე აყრის. და იმას რომ კაცმა ხელი არ შეუშალოს, უგვევლია, ძალით ან ნებით „თავს გაიფუჭება!“ და ეს ჩეეულებაც ამიტომ მოუგონიათ. ჩამყოლი კაციცა და ქალიც; კაცი კაცის

<sup>5)</sup> ერთი თავის უბედურთან შესჩივის და შეთქე ანუგეშეს.

<sup>6)</sup> აქედგან წარმომდგარა — „ითავ-ცემა“.

ჩაჰყვება, ქალი—ქალს. იმ სიტყვას, რომელსაც მოტირალი, მიცვალებულის ტირილის შემდეგ, ჭირისუფლებს ეუბნება, რითაც ის ანუგეშებს მათ, სამძიმარს ეძახიან, მაგრამ, როცა რმასაც ტირილით წარმოთქვამენ, მაშინ იმასც მიტირებას ეტყვიან.

მოზარეები სამი კაცი კუბოსთან დგას. მოტირალი რომ მოჰყავთ, ესენი გალობით შეეგებდებიან წინ: ერთი იწყებს, მეორე მაღალს ამბობს და მესამე ბანს. მათის გალობის მაყურებელს მხოლოდ „ვაი-ვაი“ ესმის ბოხის ხშით, თითქოს ცარიელი ბანია. ზარიცე ეს მღერაა ანუ სამგლოვიარო გალობა და მოზარეებიც—მისი მგალობლები. იმ ზარის დანიშნულება მხოლოდ ის არი, ცუდ მოტირალს ტირილი გაუადვილოს, ხმა გაიყოლის მისი ანგ და უშნო სიტყვები, უაზრო, უშინაარსო ტირილი დაფაროს, დამალოს. ტირილზე ზარი გაუსხლეტელია; რომ დიიწყებს მოტირალი ტირილს, სანამ არ ათავებს, მოზარეები ზარს ამბობენ. მერე დაჩუმდებიან ხელ-ახალ მოტირლამდის. უზაროდ ტირილი ძალიან ძვირად იციან <sup>7)</sup>). ვინც ენა-მჭევლია, აა ის აჩუმებიებს ზარს (ათასში ერთხელ) და დალაგებით ტირის <sup>8)</sup>). თავს იჩენს შეკრებულობაში—„ძალიან ტირილი ვიციო!“ ესახლებათ კიდევ; ეს ნიკის გამოსახენი ასპარეზია; იაქ გამოაჩნდება აღმიანს ენა-წყლიანობა. კაი ტირილი. <sup>9)</sup> ისეთსავე მოწონება—

<sup>7)</sup> აგრეთვე, როცა დრო-გამოშვებით, რომელსამე-ჭირისუფალ-თაგანს ენას ქავილი აუტებება: აკავანდება, თავის გრძნობას მაუკრებელ საზოგადოებას გააცნობს,— მაშინ გაჩუმებულია ზარი.

<sup>8)</sup> ესეც მიბაძეა, ხემის ფიქრით, უჩხოეთიდან შემორანილია. ეს ჩვენებურად სიტყვის თქმა და მათებურად რომ ვთქვათ, „რებო“ ტირილია; — „რებით იტირათ“.

<sup>9)</sup> კაი ტირილს იმას ეძახიან, ხმა რომ არ გაუწედება აღმამანს, გინც მეაფიოდ გამოსთქმას სიტყვებს, არც სიტყვა შემოკლევა და არც ცრემლი გაუწედება.

შია აქ, როგორც კაი ღვინის სმა: უამისოდ ლხინი არ გა და უმისოდ ჭირი.

გარე მოსამსახურე ასაბიის მიღების და მოტირალი ხალხის გამასპინძლების თავ-დარიგს უდგია. ამ რიგად აქვთ საქმე განაწილებული: ერთი მიმღებია — ეზოში მომსვლელთ ღებულობს, მიესალმება, ცხენებს ჩამოართმევს და, მიცვალებული სად ასვენია, მიასწავლის. რიგი მზარეულია — ვინც საქმელს ამზადებს, რიგი — მისი თანაშემწევები. ესენი სახაბაზოში (საჯალაბოში) არიან, კერძებს ამზადებენ საინებზე და და ხონჩაზე<sup>11)</sup> დგამენ. მეხონჩე — ვინც ხონჩას ზიდავს. ამათი ვალი მხოლოდ პურისა და კერძის ზიდვა-მიტანაა სუფრაზე<sup>12)</sup>. მორიგე — ვინც საქმელს არიგებს; ამათი ვალდებულებაც — მიტანილი კერძის ხონჩიდან სუფრაზე გადატანაა. მეპურე — ვისაც პური აბარია. მეღვინე — ვინც ჭურს ადგია და ღვინოს იღებს. მერიქიფე — ვინც ღვინოს

10) არც შეიძლება... ის სიტუაცია თქმა ხომ ტირილიც არაა?

არა, უზარდე ტირილი იმერეთში არ შეიძლება: X ის (ზარი) საჭიროა ტირილი, იგი ერთი მისი სამეცაულთაგანია. თუმცა ამ ბოლოს დროს მტერიც ბევრი აღმოჩენდა: იათო წისლი უკელამ ჩაუხვია, თუ „თითო ხიშტი უკელამ წაჟერა“, — დავით გურაშიშვილისა არ იყოს.

რადა? რას ერჩიან? ვისთვის რა დაუშავება საწულს? არაუერი! მხოლოდ ის რომ... სახრავი არვისია?. ამიტომაც ემტერებიან კიდევაც: ცხენი რომ ვერ გაუშეტებიათ, უნაგირს ამტერებენ!

11) ხონჩა ოთხ-კუთხი, გრძელი, გულ-ამოღებული ხისა, ლანგრის სამაგირო საზიდავია, პატარა ნაპირები აქვს, რომ ზედ ჯაში არ დასოსდეს და არ გადაფარდეს ძირს; ოთხი პატარა ფეხი (კოტები) აქვს ძირს დასადგმელად, ზედვე ამოთლილი.

12) სუფრა — ოთხ-კუთხიანი, გრძელი, გაშალაშინებული ფიცარია — დაბალ-ფეხიანი გრძელი მაგიდა.



სახამს <sup>13)</sup> სუფრაზე. მწერალი და ფულის მიმღები—  
პირველი სწერს, ვინ რა გადახურა და ფულის მიმღები კი  
გადასახურავს იღებს და ყუთში ინახავს.

აფრ. მერკვილაძე.

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଉଚ୍ଚନ୍ଦନକୁ)।

13) უწინ დეისო პირ დოქოდგან უნდა დაუსხათ და ისე  
მიერთმათ მსმელისთვის. მერიქითე მუდამ თავზე აღგა. და დღეს  
დეისოს ბოთლებით დაუდგმენ წინ და გინდა დაასხას და დაჭიოს,  
და გინდა — არა — მისი საკუთარი საჭმა. მერიქითეები დღეს დეისოს  
მხოლოდ ჩაფინავ ბოთლებში-და ასხმენ.

## მეტი ღმერი დავით ძეგაშვილი.

(ნიკოლოზ ტარიელის ძის დადიანისაგან განაცხანი, ი. ჭ.-მიერ ჩაწერილი).

გიამბობ სიფრიადესა დავითის აღმაშენთასა,  
 მტკიცესა მკლავსა განმეესა, წყობასა სპარაზენთასა. <sup>1)</sup>  
 მაღლით განცდასა ქუცნათა, ლალვათა აღნაგზენთასა,  
 და ქუცლთა საქმეთა ურიცხუთა, გლახაკთად მინაფენთასა. <sup>2)</sup>  
 გითხრობ წმიდათა აღგილთა ნიკთა მათ მოსახსენთასა,  
 ვინა მოიღოს საზომი უთურალავთა მათ ძღუცნთასა,  
 ხილთა, გზათა და ზღუდეთა, ხანაგათ <sup>3)</sup>), კვლავ საყენთასა, <sup>3)</sup>  
 და იყო დიადი სიმრავლე განარკუთა <sup>4)</sup>), თქმულთა ბრძენთასა!  
 მკურნალთ კადოდის <sup>5)</sup> სულისა და კორცო შექმნილთა  
 სენთასა,

მოწლედ <sup>6)</sup> სწყალობდის მოძღვართა, ათონით მონავლენთასა,  
 ათენსა სწვრთნიდის ჭაბუკთა, იყალთოს მონასმენთასა,  
 და სთესდის მაღლსა და სიბრძნესა, სულმნთებთა <sup>7)</sup> აღმაფრენთასა.

<sup>1)</sup> შევდრობათა.

<sup>2)</sup> ხანაგა—საგლახაკო სახლი. ნათეს. ბრუნვა ბანაგასა.

<sup>3)</sup> უცხოთა შესაწენარებელი სახლი.

<sup>4)</sup> განარკები—გაპეტილი, განაგეთი.

<sup>5)</sup> კადოდის—იწოდების.

<sup>6)</sup> მოწლედ—დამტბიერებით.

<sup>7)</sup> სულმნთები—შოერი.

ქართლისა და კახეთის სამეფოების პო-

## ლიტიკური მდგრამარეობა

მეცნი ირაკლის მეორის დროს.

შედგენილი შათას უმაღლესობის ქართლისა და კახეთის მეფის ერევანის თეიმურაზის ძის კარზედ წამყოფ ჰალგოგნიერისა და კავალერის ბურნშევის-მიერ თბილისში 1786 წელს.

(გადმოთარგმნილი კ. ნ. ბეგიჩევის გამოცემიდან).

ამ ბროშურის ავტორი იყო პოლკოვნიკი სტეფანე დანიელის ძე ბურნაშევი, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში 1783 წ. მაისის თვეში და დაპყო აქ 1787 წლის ოქტომბრის გასვლამდე. იგი დანიშნულ იქმნა მაშინდელ კავკასიის ჯარების მთავარ-სარდლის გენერალ-პორუჩიკ პ. ს. პოტეპკინის-მიერ საქართველოს მეფის ირაკლის და იმერეთის მეფის სოლომონის სამეფო კარზედ „კომმისიონერად“. მის დრომდე ამ თანამდებობას ასრულებდა დოქტორი ანტონ რეინეგსი, ნებენცი მოგზაური. 1782 წელს გამოცხადდა რუსეთის იმპერატორის უმაღლესი ნებართვა, თანახმად საქართველოს მეფის ირაკლის თხოვნა-სურვილისა, საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის შესახებ ხელ-შეკრულობის (ტრაკტატის) დაწერაზედ. ამ საქმეში რუსეთის რწმუნებულად დანიშნულ იქმნა პოტეპკინი, რომელმაც უპირველეს ყოვლისა გადააყენა მოხსენებულ თანამდებობიდამ დოქტორი რეინეგსი, როგორც ბაქია და ქარაფ შუტა კაცი, და მის აღგილას თავის კომმისიონერად დანიშნა საქართველოსა და

იმერეთში პოლკოვნიკი ბურნაშვილი, რომელიც ჩამოვიდა 1783 წელს მაისის თვეში. გენერალ-პორუჩიკმა პოტემკინმა დანიშნისათანავე მისცა ბურნაშვილს დარიგება, რომელიც პოლიტიკურ მიზნის გარდა, უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ მას დაეთვალიერებინა და გაეცნო საქართველოს და იმერეთის ადგილ-მდებიარობა და მათს საზღვრებზედ საკირო ციხეების აგებით გაემაგრებინა და უშიშარ ეყო იგინი მტრის თავ-დასხმისაგან, რის გამოც ადგილ-მდებიარობის და-თვალიერებისათანავე უნდა აეწერა მას საზღვრები, შეეღგინა რუქა (ქარტა) და აღნიშნა სად უფრო საჭირო იყო ამ სა-მეფოებისათვის მეზობელ მტრების მოგერება. ამასთანავე მას უნდა შეედგინა პატარა ციხეების გეგმები, რომლებშიც შესძლებოდათ მეზობელ მტრების წინააღმდეგ გამაგრება, და ეს გეგმები წარედგინა მისთვის—პატემკინისათვის. ყოველივე ესენი სავსებით შეასრულა ბურნაშვილი და წარუდგინა პო-ტემკინს სხვა-და-სხვა გეგმანი და პროექტები, მაგრამ ყველა ესენი მცტ წილად დარჩნენ შეუსრულებელნი, როგორც, მავალითად, კახეთსა და იმერეთში ციხეების აშენება.

ბურნაშვილი, გარდა თავის პირდაპირ კომმისიონერულ მოვალეობისა, საქართველოში მყოფ რუსის ჯარსაც უფრო-სობდა, რომელიც ჩამოვიდა თფილისში 1783 წ. გიორგი-ბისთვეში.

1787 წელს მეფე ირაკლიმ გაილაშქრა განჯაზედ, ეხ-ლანდელ ელისავეტოპოლზედ; ამ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა რუსის ჯარით ბურნაშვილი, რომელიც უცბათ გამოხმობილ იქმნა ჯარით უკან, რუსეთში, და მშვიდობით და უვნებლად ჩავიდა ცვალებას 26 ოქტომბერს 1787 წ. საქართველოდგან რუსის ჯარის გაუკანა აიხსნება მრავალ მიზეზებით და სხვათა შორის იმითაც, რომ მაშინდელ რუსეთის მთავრობას, რომელსაც ომი ჰქონდა ოსმალეთთან, აზ-რად არ ჰქონდა კავკასიის მხრიდგან დასცემოდა მტერს; შემდეგ იმითაც, რომ საქართველოში რუსის ჯარის შესვ-

ლით მეცე ერეკლემ დაპარგა მრავალი მოკავშირე შეზობე-  
ლი ხანები და გადიმტერა იგინი და კიდევ იმითაც, რომ  
რუსეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ რაკი იგი თავის ჯარს  
გამოიყვანდა საქართველოდგან, მეცე ერეკლეს შეურიგდე-  
ბოდნენ წინანდელი მოკავშირე ხანები და რუსეთის ოსმა-  
ლეთთან ომის დამთავრებამდე იგი მოაწყობდა თავის საქმე-  
ებს და უზრუნველ-ჰკოფდა საქართველოს მტრის თავ-დაცე-  
მისგან და, დასასრულ, იმითაც, რომ ჩვენი, ისეთი მცირე  
რიცხოვანი ჯარიც-კი (ორი ბატალიონი) შიმშილს იტანდა  
საქართველოში.

საქართველოდგან რუსის ჯარის გაყვანით დასრულდა ბურნაშვილის საქართველოში მოღვაწეობა. იგი შემდეგ გადა-  
ვიდა სამოქალაქო სამსახურში და ტაინი სოვეტნიკის ჩინით  
დაინიშნა კურსკის გუბერნატორად. აქ ბურნაშვილი გამოსცა  
სამი ბროშურა:

- 1) სურათი საქართველოსი... დაიბეჭდა კურსკში 1793 წ.
  - 2) აღწერა ადერბეიჯანის ოლქებისა და მათი პოლიტიკური მნიშვნელობა. დაიბეჭდა კურსკშივე 1793 წ.
  - და 3) აღწერა მთიულ ხალხებისა, დაიბეჭდა კურსკშივე 1794 წ.

ყველა ეს ბროშურები, რომელიც დღეს იშვიათად მო-  
იპოვებიან გასასყიდლათ, უკველია თავდაპირველად დაიბე-  
ჭდნენ ერთობ ცოტა. დღეს იგინი არ მოიპოვებიან იმისთვის  
წიგნთ-საცავებშიაც-კი, როგორც პეტერბურგის საჯარო და  
სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცავებია. ჩემს კავკასიის შე-  
სახებ წიგნების კოლექციაში დაცულ არიან მეორე და მე-  
სამე ბროშურები, ხოლო ეს გამოცემა გადმობეჭდილია იმ  
ეგზემპლარიდან, რომელიც დაცულია პეტერბურგს, მთავარ  
შტაბის წიგნთ-საცავში.

## საკართველოს პოლიტიკური მდგრადარეობა.

მაღა მისა. მთელს ქართლისა და კახეთის სამეფო ებში, კავკასიის ქალაქებში და საქართველოს მეფის მოხარკე ქალა-ქებში—ერევანსა და განჯაში, მათის მიწებით, 1783 წელს, საქართველოს რუსეთის უმაღლეს ტახტის მფარველობის ქვეშ შესვლის დროს, ითვლებოდნენ ქართველები, სომხები, ბერძნები, თათრები, მთიულთ სხვა-და-სხვა ხალხები და ქურთები 42.000 კომლი მოსახლე.

წოდებანი. საქართველოში მკვიდრი ქართველობა სამ წოდებათ იყოფა: სამღვდელოებად, თავად-აზნაურობად და გლეხობად. პირველი წოდება უმთავრესად შესდგება კეთილ-შობილთაგან. სომხებს ჰყავთ თავად-აზნაურნი, ვაჭარნი, ხელოსანნი და ხვნა-თესესის მიმდევარნი. ბერძნები იყოფებიან ვაჭრებად და ხელოსნებად. ეს უკანასკნელნი უმეტესად მაღ-ნების მთხრელნი (рудოკოპი) არიან და ამუშავებენ ოქრო-ვერცხლის და სპილენძის სამეფო მაღნებსა. თათრებს შორის ჩვენ ვხედავთ წარჩინებულთ, რომელთა შთამომავლობა-ნი როგორც სპარსეთში, ისე საქართველოში ძალიან მიღებულნი არიან; ვაჭართ, ხელოსანთ და ხვნა-თესევის მიმდევართ. მთის ხალხნი მისდევენ ხვნა-თესეს და მცირეოდნად სა-ქონლის მოშენებას. ზოგიერთი მათგანნი მოხეტიალე, მტა-ცებელი და ომიანობის მოყვარე. ქურთები მთა-ბარობის მოყვარე ხალხია.

საქართველოში საქონლის მოშენებას ნაკლებ მისდევენ: მიზეზი ამისა ლეკთა საშიში თავდასხმა და ტაციაობაა. ცხენ-თა მოსაშენებელი თავლები ცოტაა და აღნიშვნის დირსნიც არ არიან.

პური საქმაოდ მოდის, განსაკუთრებით ყაზახსა და შამ-შალილოში და მეტად კარგის თვისებისაცაა. ბრინჯიც საქმა-რისია; აგრეთვე ბლომად მოდის ფეტვი, ქერი და სიმინდი. ჭვავის პური (როჯა) და შვრია სულ არაა; ბამბა საქმარისია,

სელის თესვას ნაკლებ მისდევენ, მოჰყავთ მხოლოდ ზეთის გამოსახდელად. აბრეშუმს ძალიან ბლომად აკეთებენ, მაგრამ მხოლოდ შუათანა ღირსებისაა იგი.

ოქრო-ვერცხლის მაღნები საკმარისია, განსაკუთრებით ბევრია სპილენძის მაღნები საქართველოს და ერევანს შუა მდებარე მთებში, რომელსაც ამუშავებენ ისმალეონიდგან მოწვეულნი ბერძნები. რკინა ცოტაა და ისიც ცუდი თვისებისა, ხმარობენ რუსეთის რკინას, რომელიც სიშორისა და ცუდის გზების გამო ერთობ ძვირია, ერთი ხუთად მეტად ფასობს.

ოქრო-ვერცხლის ხელოვნება (ოქრო-მჭედლობა) უვარ-გისი და ულაზათოა. არ იციან ოქრო-ვერცხლის სხვა ლი-თონებთან შეერთება-შედუღება. სპილენძის ხელოსნობა უკე-თესია; კალისა არ არსებობს. ფოლადისა საშუალოა; რკინე-ულ ნივთებს აკეთებენ კალის შერევით. აბრეშუმისა და ბამ-ბის პატარა საფეიქრონიც მოიპოვებიან, მხოლოდ ბამბისა უფრო ბლომათა.

ვაჭრობენ სპარსეთთან და ინდოეთთან და რუსეთიდგან მცირედ შემოტანილის საქონლით; სპარსეთიდგან და ინდოე-თიდგან ქარავნებით ღებულობენ აბრეშუმს, ბამბას, სამოს-ლებს, ფაიფურის კურპელს და სხვ. დიდი ვაჭრობა იქვთ სპარსეთის საზღვრებთან ახლო-მახლო მცხოვრებ ხალხებთან და მთიულებთან. ვაჭრობენ უმთავრესად შინად-მრეწველო-ბის ხელ საქმით – სპილენძის კურპლეულობით, ბამბის ტი-ლოებით (დაჩითულით, შეღებილით და ოეთრით), ცხენების მოსართავი ნივთებით, ხმლებით, ხანჯლებით, წვრიმალი რკი-ნეული ნივთებით, ტანისამოსით, ქედებით და ფეხთ-საცმე-ლებით. ყველა ამ საჭირო სავაჭრო ნივთებს ყიდულობენ თითქმის ყველა კავკასიის ხალხები და მათი მეზობლები თბი-ლისის შრომის-მოყვარე სომხებისაგან.

ჩითეულობისა, სხვა და სხვა ხელო-საქმისა და სანოვაგის სავაჭრო დუქნები თბილისში 500-მდეა. (ასევე) ამავე დოკუ-

**ღვთის-მსახურება.** ქართველები ბერძნოთ ალსარებისა და შემთხვევა  
რწმუნოებისანი არიან. ეკალესიებში ნაკლებ სრულდება  
ღვთის-მსახურება; გარეგანი ღვთის-მოყვარეობა დიდია, მარ-  
ხვის შენახვა გადაჭარბებულია; ეკალესიები და მონასტრები  
გაცარცულ-აოხრებული და მეტად უყურადღებოთ არიან მი-  
ტავებულნი; არავითარი წეს-რიგი არ არსებიას, სამღვდე-  
ლოებას საკმაო უფლება და პატივისცემა აქვს და სამეფო  
რჩევაშიაც საკმაო ხმა აქვთ. სამღვდელოების საქმეთ განაგებს  
და მათ სათავეში სდგას კათალიკოზი ანუ უბირველესი არქი-  
ეპისკოპოზი.

სომხები წმ. გრიგორის აღსარებისანი არიან; ეკკლესიებს  
სუფთათ ინახავენ და საკმაოდ გამშვენებულებიც აქვთ. თბი-  
ლისში 30 მოსახლემდე იქნება ფრანგთა აღსარებისა, რო-  
მელთაც თავიანთი საკუთარი მღვდლები ჰყავთ, რომიდგან  
დანიშნული. ეს მღვდლები ექიმობასაც ეწევიან, რის გამოც  
ძალიან დაახლოვებულნი არიან მეფეებთან. მათ აღაშენეს  
თბილისში ევროპიულ გეგმაზედ ქვითკირის ეკლესია, მაგრამ  
მეფე ერეკლემ წაართვა იგი მათ და ბერძნებს გარდასცა.  
მიზეზი ამისი ის იყო, რომ მათ ზოგიერთა ქართველ მაღალ  
სასულიერო პირთა ნება-დახმარებით განიძრახეს საქართველოს  
ეკკლესიში გრიგორიანთ ჰერესის შეტანა.

ბერძნებსაც თავიანთი საკუთარი ეპკლესიები აქვთ, მაგრამ იგინი ეროვნული დარიბად არიან მოწყობილნი.

თაორებსაც შეუძლიანთ თავიანთ სჯულზედ ღვთის-მსა-  
ხურების შესრულება. მათ თბილისში სამი მეჩეთი აქვთ;  
თვეოთეულს მათგანს ხელშეკრულება აქვს დადებული ქარ-  
თულ ეკალსიებთან, რომლის ძალითაც მოვალენი არიან  
დახმარება-შემწეობა გაუწიონ ერთმანეთს, ვინიცობაა სამე-  
ფოში უმთავრესი სარწმუნოება გამოიცვალა. უკანასკნელს  
ხანებში, ჩვენის ჯარების იქ ყოფნის დროს, ნება ჰქონდათ  
მათ თავიანთ ადათისამებრ მეჩეთში კოშკიდგან მორწმუნეთა  
მოწოდებისა.

ქურთები წარმართი ხალხია, თუმცა ზოგიერთი მათგანი მაპმაღის სარწმუნოებას აღიარებენ. საქართველოს მეფის ქვეშევრდომი მთიული ხალხები—თუშები, ფშვები, ხევსურები და ძურძუკები მართლ-მაღიდებელნი არიან.

**ხალხის თვისება.** ადგილის მდებიარობა მთიანია, რაიცა ხდის აქაურ მცხოვრებლებს, როგორც საზოგადოთ ყველგან მთებში, მეტად მკაცრ და გაუტეხავ ხალხად. სპარსელებთან მუღმივ დამოკიდებულებას და მათთან მისვლა-მოსვლას დაუმჩნევია ქართველებისათვის თავისი ბეჭედი, მიუღიათ მათგან მრავალი ადათ-ჩვეულებანი. თუმცა ბუნების-მიერ ზოგიერთი ქართველნი დიდათ დაჯილდოვებულები და განვითარებულნი არიან, მაგრამ მაინც შვილების სწავლა-აღზრდაზედ არავინ ფიქრობს; ამით აიხსნება, რომ ქართველები წინდაუხედველნი, შორ-გაუმჭვრეტელნი, მატყუარნი, გაუტანელნი და მოანგარენი არიან. ბევრნი კეთილ-შობილთაგანი პირადათ მამაცნი და გამჭრიახნი არიან, მაგრამ მათი საგმირო საქმენი, როგორც დამატებიცებელი საბუთნი მათის ნიჭიერებისა, არა სჩანან. ნათესავების და მახლობელთა სიყვარულს და პატივისცემას დიდი გასავალი არა აქვს მათში. მათი ცხოვრება და სასმელ-საქმელი მკაცრია; ერთმანეთში მისვლა-მოსვლას და დარბაზობას ნაკლებ მისდევენ. არა აქვთ საერო თავ-გასართობი და შესაქცევი სათამაშოები, გარდა დოლისა, რომელიც წელიწადში ორჯერ იმართება ხოლმე, და კრივ-ჭიდაობისა. ქართველები თავიანთ ადათ-ზნე-ჩვეულებებს ყველაზედ მაღლა აყენებენ, ევროპიელები ცოტა არ იყოს სძლოთ და მიუხედავათ თავიანთ ღრმა სიღარიბისა ერთობ თავმოყვარენი არიან.

**მართვა-გამგეობა.** ერთ-მთავრობა და მეფის უფლება შეუზღუდველია; წერილობითი კანონები და საჭირო დაწესებულებანი თითქმის არ არსებობენ; მოსამსახურე მოხელენი ცოტანი არიან; ყოველი საქმის გადაწყვეტა, თვით უბრალო საქმეებისაც კი, დამოკიდებულია მეფის განჩინებაზედ, მხო-

ლოდ ერთად-ერთ მას ემორჩილებიან, ისიც პირფერია დანარჩენ მოხელეებს ყურადღებას არ აქცევენ:

მეფეს ჰყავს საკუთარი მდივანი ანუ რჩევა, რომელშიაც იღებენ მონაწილეობას თითქმის ყველა ბატონიშვილები, კათალიკოზი, მღვდელთ-მთავარნი, წევრნი რჩევისა, რომელნიც მდივან-ბეჭედად იწოდებიან და ქვეყნის წარჩინებულნი, რომელთა დაუკითხავად მეფე ჩვეულებისამებრ არაფერს აკეთებს და არაფერს სწყვეტს, თუმცა იგი თვით-მპურაბელი და მერძანებელია. მეფეს ჰყავს აგრეთვე განსაკუთრებული მინისტრები: უცხო საქმეთა, ფინანსთა და სამხედრო უწყებათა, რომელნიც, როგორც ყველა დანარჩენი საქმის კაცები, სომხები არიან, რადგან ქართველ თავადიშვილებს თავიანთ უჭიკუო სიამპარტავნობით სირცხვილად მიაჩინათ შვილების განათლება და უბრალო ანგარიშის შესწავლაც კი.

უმაღლესი სამხედრო, სამოქალაქო და სამეფო კარის მოხელეთა თანამდებობანი უმეტეს შემთხვევაში მემკვიდრეობით გადადიან გვარში.

ხევსუნის მის ევ მიმდინარეობის მიხედვის ა. ტატუნაშვილი.

(უმდებარება იქნება):

# ა მ გ ა ზ ი

კნეინა ეკაფირინე ჩიჩუასი, გურიის უკანასკნელის მთავრის

*უკაფირი*

ასულისა. \*)

როდესაც იმერეთში მოახდინა აღრეულობად უკანასკნელის მეფის მეორე სოლომონის განდგომილებამან, მაშინ მორჩილმან მისმა გურიის მფლობელმა მთავარმა მამრა გური-

\*) ამავისა ამის საფუძვლის არიას შემდგომნა:

1) საქმე მამია გურიელის ქადალდთათვას, რომელიც საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის არზიგში არის აღნიშნული 99 ნომერითა.

2) საქმე გურიის მთავრის სიგუდილისათვის, და მის შემდგომ წევენისა მუნ დაწესებისათვის, საქმე ესე ადამ შნულ არსები არსიგში 260 ნომერითა.

3) 1 აგვისტოს 1839 წელს დაწესებული საქმე, რომელიც კარმალებს მასებ კანცელარიაში კნეინა ეპატირინე ჩიჩუას ავადშეთვის და მისის შენსიისათვის.

4) ისტორია სამხედროთა მოქმედებითა, აზიათ გურძი თხმაში მომხდართა 1828 და 1829 წელსა უმაღლესის ბრძანებითა აღმენებდილი 1836 წელში.

5) ცნობასი, რომელიც ქანან საკუთრად აშ ამავის დამწერსა იმერეთის მმართებლობის საქმეთაგან გურიის საქმეებზედ.

დ 6) ზეპირადი მოთხოვა აზნაურის იასე დოლიძესი, რომელიც იყო თვალით მნახული ეპატირინეს შემთხვევათა ვინაოთგან თან ახლდა მას და აწა თან იახლა შეტერბულდში.

მომატებული სრულიად არა არის რა.

ელმა განაცხადა სურვილი რუსეთის ქულშევრდომობაზე პილი ავ განზრახვის წრფელი დამამტკიცებელმა მოქმედებითა თვისითა პირისპირ სოლომონისა და მეზავისა მისის ტრაპე-ზონელის შერიც-ფაშის მხედრობათა, 19 ივნისს 1810 წ. მოაწერა სათხოვარი მუხლები, რომელთა მიერცა შეუდგე-ბოდა სამარალისოს ქულშევრდომობასა რუსეთის ერთ-მთავ-რისას, ერთგულებისა და ნამსახურობისათვის, რომელიც უჩიტნა იმან რუსეთის მხედრობასა შერიც-ფაშის დამარცხე-ბისა და ფოთის ოლების ღროს, მთავარმა მამიამ მიიღო პოლ-ბისა და ფოთის ოლების ღროს, მთავარმა ანიამ პირველის ხა-კოვნიკობის ჩინი, კავალერობა წმიდის ანნას პირველის ხა-კოვნიკობის ჩინი, კავალერობა სათხოვარის მუხლებისა, რომლითაც რისხისა, და დამტკიცება სათხოვარის მუხლებისა, რომლითაც მიღებულ იქმნა იგი რუსეთის ქულშევრდომად, ვითარცა

შენიშვნა. „ამბავი კნეინა უპტერინე ჩიჩუასი, გურიის  
უპანასპნელის მთავრის „ასულის“, რედაქციაშ მიიღო კასტადაშ  
თავი. დამატეთ დურშიშხსის ძის ჩლლოგაშვილისაგან. რადგანაც  
ხელნაწერი შეიცავს ბეჭრს საინტერესო ცნობებს შესახებ ჩვენის  
ქვეყნისა, ამიტომ გამჭვიდვთ მას უნაკლუტოდ სრულის სისწარით  
დედახთან. ვამ არის აკრიტიკა ამ საინტერესო ხელთხაწერისა არა  
სჩას. მოხსენებულია მხლოდ შემდეგი:

„ამ ამბავის დაწყენს ჩინოგნიკსა მასში და თიბათუები ქვეთ-  
და შემთხვევა ენასა ტფილისში რაოდენჯერმე უძედური პნეონა ება-  
რერანე ჩიხეა“ და „დაწერილ-არს ტფილის 30 აღნის 1840  
წელს.“



თვითმშეცრობელი მბრძანებელი გურიისა, შთამომაცლობით  
თვისით, და დასამტკიცებელად მაღალის ღირსებისა მიანიჭეს  
მას ინვესტიტურის ნიშანი, ესე იგი დროშა და რხმალი.  
მამრამ ყოველსავე ამაზედ მიიღო უმაღლესი გრამოტა ღმე-  
რთსა შა განსუბნებულის იმპერატორის ილექსანდრესაგან  
ხელმოწერილი 8-ს აპრილს 1811 წელსა. რაოდენსამე ხანს  
შემდგომ მიიღო მამრამ ღენერალ-მაიორობა და წრფელითა  
ერთგულებითა თვისითა და გულსმოდგინებითის სამსახურითა  
მოიპობდა მარადის ყოველთა მთავარ-მართებელთაგან სრულ-  
სა ქებასა.

ისეთს სამფლობელოში, რომელიცა ადგილმდებარებით  
მიემსგავსება გურიის სამთავროსა, თუმცა განუწყვეტელი არის  
აღშფოთება და დაუდგრომელობა, მაგრამ მამია გურიელი  
რუსობის სიყვარულსა თვისსა ამტკიცებდა ყოველთვის ხალ-  
ხის მოქალაქეობის განათლებითცა. ყმაწვილთა სასწავლებე-  
ლად გააჩინა მან ოზურგეთში შკოლად, ვაჭრობისა და აღებ-  
მიცემობის განსამხნევებელად ერთს თავის სოფელთაგანში  
დააწესა მან მარინობა ~~(დოკსასწაული წმიდის მარინასი)~~ და  
გააჩინა იქ იარმანკა, რომელზედაც შემდგომ და შემდგომ  
მივიღოდნენ ხალხნი მთელის სამთავროთვან, შეხალისებულ-  
ნი სხუა-და-სხუა სანახავებითა, რომელსაცა წარმოადგენდნენ  
ხოლმე მოლდავითვან ანუ ვალახითვან მოწოდებულნი ჭი-  
გლიარები და მეკომედიები; ზნეობათა განსანათლებელად  
დააწესა მან თვისს სახლში საღამოს შესაქცევი შეკრებილება  
ასამბლეების მხევასად (ესე იგი ბალისა), გამოიყუანა ევრო-  
პიითვან მუზიკის მასწავლებელი, შეადგინა თავისი მუზიკა  
და ჩვეულებად გააჩინა ევროპიული ტანცები, ასე რომ ძვი-  
რათ იპოება ეხლა მის დროს თავადი ვინმე ანუ თავადთა  
ქალი, რომელმაც კარგათ არ იცოდეს ევროპიული ტანცა-  
ობა, და ესრეთ მცირედს უამში გურია აღვიდა უფრო უმა-  
ღლეს განათლების ხარისხზედ, ვიდრე სხვანი კავკაზიის აქეთ  
მდებარენი თემნი. ხოლო ესოდენ ლირსის მფლობელის სი-

კულტურული გურიის საქმეები წარმართა სრულებით სხვა გულებით  
რად. იგი გარდაიცუალა 21 ნოემბერს 1826 წელსა. რათ-  
განც მისი მემკვიდრეობა უნდა მიეღო რჯულიერსა ძესა მის-  
სა, მაგრამ ჯერეთუა ჩჩილს დავით, ამისთვის, როგორც  
რომ მიიღო ამაზედ უწყება ჩვენმა მართებლობამ, მაშინვე  
დაწეს იქა საქმეების განსაგებელად დროებით რჩევა შეღ-  
ენილი უქაურთ თავადთაგან და პრეზედატელად ესე იგი  
პირველ წევრად დანიშნა დედად მემკვიდრესი მთავრინა სო-  
ფია. რათგანც ლენერალმა ერმოლოვმა მოახდინა ერთხელვე  
ამ გვარი განკარგულება, ვითამც იმ უწესოების და დაუდ-  
გრომელობის მოსასპობელად, რომელიც იქნება შეეტანა სა-  
მთავროში სუსტობისა დედაკაცის მფლობელობისასა და რათ-  
განც გამოუთხოვა განკარგულებასა თვისსა უმაღლესი და-  
მტკიცება, რომლითაცა სხუათა შორის მიეჩემებოდა მას ნე-  
ბაც, რომ მიეცა სამხედრო ჩინი რამე მემკვიდრისათვის გან-  
ხილვისამებრ ავისისა, — აღარ კმაცყოფდა უკუც თხოვნასა,  
რომელსაცა წარმოუგზავნიდნენ მას რაოდენჯერმე როგორც  
მთავრინა, ეგრეთვე თვით წევრნიცა რჩევისანი და ყოველი  
საზოგადოდ მღუდელობა, თავადნი და აზნაურნი შეცტრისა-  
თვის რომელთამე ამ განკარგულების ნაწილთა, რომელნიცა  
ეწინააღმდეგებოდნენ ხალხის ძველთა ჩვეულებათა. განკარ-  
გულება ესე ეჩვენებოდა მთავრინას მით უცეტესად ძალთა  
მისთა მოსპობად, რომელ წინააღმდეგად ნებისა და სურვი-  
ლისა მისისა აღმორჩეულ იქმნენ ექტრითა წევრთა შორის,  
ორნი თავადთ ერისთავთაგანნი, რომელთაცა აქუნდათ დიდი  
სიძულილი მთავრის სახელზედ და კუალად მით უმეტეს ჰპო-  
ებდა მას დამამდიმებელად, რომელ, რჩევას უნდა გადაეწყვი-  
ტა ყოველი საქმე შხოლოდ ხმის სიმრავლითა და ყოველთ  
იქაურთ ნაჩალნიკებთან უნდა ჰქონოდა მიწერ. მოწერა ერ-  
თავისაგან დაწესებულის ჭორმითა, რომლითაც ყოველს  
ჰალალზედ უნდა მოეწერათ ხელი ყოველთა წევრთა და

მათ შორის მთავრინა სახელებელიყო მხოლოდ ღენერალ-მაიორშად კნეინა სოფია გურიელისად.

გრძნობა ლიტების შეურაცხ-ყოფნისა ძლიერდებოდა მთავრინას შორის, ერთის მხრით ხალხის დრტვინვითა, რომელ შეათანასწორეს ბატონი მოყმეთა თანა, ზოლო მეორეს მხრით ოსმალთ ცდილობითა, რომელ მიიღოიკონ იგი თვის-კენ, და ამის გამო მთავრინამ იწყო უკუც იდუმა ლად სიძუ-ლილი რუსეთის მართებლობაზედ და 1828-ს წლის დამდეგს შეუდგა ოსმალთან მიწერ-მოწერასა თვისის საყუარლის თა-ვადის დავთ მაჟუტაძის რჩევითა, რომელსაც ჰქონდა ხალხ-ში დიდი ხმა და უჯერებდნენ მას, რათგან ყოველთვის ენ-დობოდა ხოლმე მას განსვენებული მთავარი და ეგრეთვე იყო ჭკვიანი, გამოცდილი და რუსეთის მართებლობის უმა-დურთ თავი.

განდგომილების განმზრახველმან მთავრინა სოფიამ გა-გზავნა მაჟუტაძე ფოს, ბატუმს და ქობულეთს მოსალაპა-რაკებლად იქაურს ოსმალთ მთავრობასთან, რომელთა მიერ-ცა მიიღო მან შემდგომად ხვანთქრისაგან კეთილმნებელობი-თი ფარმანი და აღთქმა დაცვისა და დაფარვისა.

სამხედრო დაწყობილებამ, რომელიც მოხდენილ-იყო ოსმალოს ომის დროს უმთავრესთა საზღურების ადგილებთა დასაცველად; მთავარმართებლის წიგნმა, მთავრინა სოფიასთან მიწერილმა, რომლითაც გამოეცხადებოდა მას სხუა-და-სხუა ცუდი მაზედ ამბავი; ხალხის მიმართ მიწერილმა პროკლამა-ციამ და სხუათა ამ გუართა განკარგულებათა, საქმე იქამდინ მიიყუანეს, რომ მთავრინამ წერილით განაცხადა თვისის ყო-ფა-ქცევის სინაული; ახალციხის აღების. შემდგომ თავის ერთგულების დასამტკიციცებელად აპირებდა ბატუმისა და ქო-ბულეთის აღებასაცა ჩვენთვის, მაგრამ განშორება რუსეთის მორჩილობაში ყოფნაზე განზრახვისა გამოაჩნდა მას მაშინ უმეტესად, როდესაც ღენერალ-მაიორი ღესსე შევიდა თავი-სის ჯარით გურიაში და მოითხოვა პირისპირ ხილვაზ მისი.

მთავრინა აპირებდა თურმე, დამორჩილებით მასთან მისულ  
სა, მაგრამ დაშინებული ერთის თვისთა დახლოებულთაგანი-  
საგან, რომ ვითამც მას უპირებდნენ სრულებით განდევნასა  
თვის სამფლობელოთგან და შვილებითურთ რუსეთში ბა-  
გზავნასა, და ოდვილად დამჯერებელი, რომ უეჭველად მია-  
ვლენდნენ მას ამ გვარს სასჯელსა, 1828-ს წელს ღვინობის-  
თვის გასულს შვილებითურთ თვისით რვის წლის მქონის  
დავითითა და თოთხმეტის წლის ეკატირინიათი და ეგრეთვე  
საყუარლითა თვისითა თავადის დავით მაჭუტაძეთი გაიქცა  
გურიითგან და მიეკერდა ასმალოს მხედრობასა, რომელიც  
იდგა მაშინ გურიის სამძლეუარზედ ლიმან ზეგის ბძანებას ქვე-  
შა. ჯარი ჩუბი მაშინვე შევიდა გურიას, დაიჭირა უმთავ-  
რესი ოდგილები და ოზურგეთში განაწესა დროებითი მართე-  
ბლობა. სამი მცირე წლოვანი ქალი მთავრინასი: კოჭიბრო-  
ლა, სოფია და ტერეზია, გურიას დარჩენილნი, გაგზავნეს  
პეტერბურლში და მისცეს იქ სასწავლებელში გასაზრდელად.  
ღენერალ-მაიორი ღესსე ერთს თავისს მოხსენებაში ამ  
საქმეზედ ჰსწერს კნიაზს პასკევიჩს, რაც უთქუმს მისთვის  
ერთს უკან დაბრუნებულს მთავრინას მხლებელს აზაურს,  
რომ მთავრინა აპირებდათ რუსეთში გასულესაო, კელმწიფის  
ფერთ მოხვევნასა და დაფარვის თხოვნასაო, მაგრამ ეს გან-  
ურბო და დატარვის და შეუდგა თავის ბედასა. მის  
შორის კელმწიფე იმპერატორმან კნიაზის პასკევიჩისაგან მთა-  
ვრინა სოფიოს გაქცევაზედ მოხსენების მიმღებმან ინება 1830  
წლის იანვარში უმაღლესად ბრძანება: რათამცა ყოველთა  
გურიის თავადთა მთავრინასთანა განლტოლვილთა ოლეკრძა-  
ლოს მამულად თვისად უკუ მოქცევად; ხოლო მემკვიდრესა  
დავითს და დასა მისსა განცხადებულ-ექმნასთ ტრაპეზონელი-  
სა ვისმე ბალიოზის მიერ, რომელ მონაწილეობისათვის სა-  
ქმეთა შა დედისა თვისისათა მოესპობა მათ ყოველივე სი-  
მართლე ვითარცა სამკვიდროებასა ზედა, რომელიცა ეკუთვ-  
ნოდათ მათ, ეგრეთცა ყოველსა ზედა მისს სამაგიეროსა.

გარნა შემდგომია მთავრინას საქმეებისა ასე დასრულდა რომ ამ ბრძანებამ ვეღარ მიაწია იმის ცნობამდინ, მკრთალის იმედითა ხვანთქრის შემწეობაზედ და მცირედის თავალთა და აზნაურთ რაოდენობითა, რომელნიც გაჰყუნენ მას ზოგნი ერთგულებისა გამო და ზოგნი მისითა ანუ მასთან მყოფთა ყმაშვილის თავადთ ანუ აზნაურთ ქალების ტრფიალებითა, მივიდა მთავრინა 1828 წლის გიორგობის თოჯუში ტრაპეზონს, სადაც დილის მომზადებით მიელოდა მას ოსმანფაშა.

საკელმწიფო პოლეტიკის საქმეების მიმხედველობითა თუ, მთავრინას მშვენიერების გაგონებითა, უმეტესადღა მის ქალის ეკატერინასი, იმედეული რომ დაიპყრობდა ერთს რომელსამე გურიის ქალთავანსა, რომელთაცა საკვირველი შვენიერება დიდი ხანია განთქმული არის ოსმალოში, — ოსმანფაშა უჩვენებდა მთავრინას ისე დიდს პატივისცემას, რომელსაც უსათუოდ უნდა ენუგეშებინა ისი და დაევიწყებინებინა გასაჭირი და გაუცხოებული მდგომიარეობა მისი. მთავრინამაც კარგად იცოდა ლონისძიება იმის კეთილ-განწყობილების მოსაპოებელი; ამიტომ უმეტესად რომა, ვითარცა დედაკაცი მცბიერი და კარგად გამოცდილი და დახელოვნებული საჭიროს კაცების შეტყუებაში სიყვარულის მახეებითა, კარგად იქნერდა მასთან თავის თავსა და პატივსაცემელ-ჰყოფთა თავისს ლირსებასა. ოსმან-ფაშა აქამომდინ ზრუნავდა იმისთვის, რომ როდესაც არზრუმი მოჰსდრკა რუსეთის იარაღ ქუცშე და შემდგომად როდესაც ამავე იარაღმა და ეგრეთვე ძლევა-მოსილად იქუხა ტრაპეზონს ახლოცა, გუმიშ-ხანაში, — მაშინ თითონ ისწრაფა მთავრინასთან მისულად და შეტყობინება, რომ შიში არისო; უპოვა ყოველი ლონისძიება უფიქრებელს ადგილს გასასვლელად; მიიყუანა დილის ფარვით და პატივისცემით უნის, შუა ანატოლიისაკენ, და გამრიგემან, რომ საზრდოზედ არაფერი საჭიროება არა ჰპოვოს-რა, ალუთქვა სარწმუნოდ და გულს-მოდგინედ შუამდგომელობად კონსტან-

ტინეპოლში. მაგრამ სოფიო ჰედავდა, რომ პორტას აღარა სცალოდა იმისთვის, რათანც წააგო ყოველი სამხედრო სა-ქმე თვისი და დამარცხდა რუსთავან; და მთავრინა ამიტომ უმეტესად ვეღარისა ჰპოებდა კეთილსა ვერცა. აწმყოსა შა მო-თვისსა და ვერც მყობადსა, რომა თვითონ მხოლოს მო-სარჩლესაცა იმისსა ასმან-ფაშასა ერთხელაც არის უნდა შეეტყო როდესმე, თუ რას უპირებს სოფიო შინაურის საქ-მის განზრახშასა მისსა, და ამის გამო უნდა შეემსუბუქებინა როდესმე მზრუნველობა თვისი მისთვისა. მთავრინა თვის გუნებაში აღიარებდა უკუც, რომელ მოუპოვა შვილებსა თვისსა ერთიოდენ განპატიუება საკუთარის მათის მამულისა-გან იმ ამაღლების მაგიერ, რომლისაც მოპოებისათვის წარა-გებდა საკუთარს განსვენებას. ესრეთის გულითადის მტან-ჯველობის დროს ეწია მას უნიაში სნეულება და აღსრულდა იქ 7-ს სექტემბერს 1829 წელსა ვერ შემსრულებელი ვერცა ერთისა განზრახვისა თვისისა.

ცხრის წლისა დავით და თხუთმეტის წლისა ეკატირინე დარჩნენ სრულიად ობლად, უფარველად, უზრუნველად, უცხოს ქუცყანას, სხუას სარწმუნოებისა და სხუას ზნეობის სახლში. უკანასკნელი სვეტი მათი იყო თავადი მაჭუტაძე, მაგრამ ისიც მოხუცი და ვერ მქონე კარგის იმედისა, თუმცა იყო გამოცდილი, ჭკვიანი და ახლოდ მცნობი იმ ხალხის ხასიათისა, რომლისაცა მმართებლობის ქუცუშე უნდა ეძიებინა საფარველი თავისის მებატონეთა ყრმათათვის. ესრეთ დაობ-ლებულთა მწარედ დაიტირეს თავისი მშობელი და მივიღნენ ისევ ტრაპეზონს.

ასეთი კეთილშობილება იხმარა, რომ პა-ტივსცა ეკატირინეს ობლობასა, რაღანც ერთხელვე უარი მიიღო როდესაც თხოულოდა იმას, მთავრინას სიცოცხლე-შივე, და მხოლოდ მოახსენა ხონთქარსა, რომ გურიის მფლო-ბელი მთავრინა გარდაიცვალაო და დარჩა იმის შვილით და განსაოცებელის მშვენიერების ყმაწვილი ქალით. ეკატირინე

იყო მართლად გასაოცებელად მშვენიერი: მგზნებარე ფუნქციების ისმალთა ველარ გამოხატავდა მშვენიერებასა ამ გურიის ხა-ნუშის უკეთესსა; და მაჲმუდი გამხიარულებული იყო იმედი. თა, რომ იშვინიდა ესრეთს ძვირფასს მშვენიერებასა.—ისმან-ფაშას მიუვიდა ფარმანი მოწყალების სიტყვისა და ბრძანება, რომ წარგზავნოს ობლები კოსტანტინეპოლის.

თუმცა ჰდრტვინავდნენ ამაზედ თითქმის დაცალიერებულნი თავაღნი და აზნაურნი, რომელნიც თან ახლდნენ შათვის ფრდ საყუარლის მამიას ობლებსა, მაგრამ იმათ გარეთ არ გადიოდა მათი საჩივარი, რათგანც ჰსწამდათ ჭკუა და გამოცდილება მაჭუტაძესი, და ამის გამო მტკიცედ ასრულებდნენ ვალსა თვისსა და ბრძანებასა მაჭუტაძისასა, რომელსაც პატივ-სცემდნენ ვით უფროსსა თვის შორის. უმეტესადღა მტკიცედ ჰქონდათ დაცული ერთი ბრძანება მისი. რომ არას გზით არ უნდა შეეტყობინებინათ ეკატირინესა-თვის ხუანთქრის მაზედ განზრახუად და ყოვლის ღონისძიებით ცდილიყუნენ განშორებასა ყოვლის მის შემთხუევისასა, რომლითაცა ადენ შეიძლებდა ქალი აზრისა რისმე აღებასა.

მაჭუტაძე ძლიერის ხვანთქრის ეკატირინესთან ქორწინებისაგან მოელოდა ფრდ მრავალსა სარგებლობასა, გარნა ძალიან ეშინოდა, რომ ეს საქმე არ დარღვეულიყო როგორმე ეკატირინეს ხასიათითა, რომელსაც კარგად იცნობდა იგი. მაგრამ გაუქმდა ყოველი სიფრთხილე მისი. ეკატირინემ სტამბოლში მისულამდინვე შეიტყო თუ რა ელოდა იმას იქა და ჰშეშდებოდა საშინელის უბედურების მომლოდინესავით. თუ განვიხილავთ ვითარებოსა მისის აღზრდილობისასა, მაშინ ადვილათ განვიმარტებთ შემდგომსა მის ყოფა-ქცევასა, რომელიც უამისოდ იქნება მრავალთაგანცა ეკიცხათ: აღზრდა მისი იყო ამ გვარი, ვითარსაცა მიიღებენ ანუ მიიღებდნენ ადვილე საზოგადოდ ყოველნი ქალნი თავადთა და კეთილშობილთანი ყოველთა კავკასიის აქეთ მდებარეთა საქრისტიანოთა თემთა შ. ა. სარწმუნოება იყო ქუა ზღუდვილი, რო-

მელსა ზედაცა უნდა დაფუძნებულიყურენ და განშლოდებული იყურენ ყოველნი ცნობანი და გრძნობანი კეთილშობილის ქალისანი; და ფრდ ხშირად მოხდებოდა ომელ, მომაშორებელნი მისნი ომელთამე კანონთაგან, სხუათა კანონთა განაძლიერებლნენ მას შორის კერპობის ხარისხადმდე. ოჯამს იდენ წარმოსდგებოდა პირველი ღონისძიება სწავლების დაწყებინებისა, მაშინვე მოაყოლებდნენ დავითნს, შრდ დაუჯდომელს, სამოციქულოს, სახარებას, დაბადებას და სხუათა სამლოთა წიგნებთა, ომელთაც ქალნი კეთილშობილნი სწავლობლნენ აქამომდე, ომელ ხშირად გაუძნელდებოდათ ბაასი მათთანა თვითქმის ღუდელთაცა კარგად მცოდნეთა; ხოლო საერთსა აღზრდასა მათსა დააბოლოვებლნენ ხელთ-საქმენი; გაწყობილება მოკითხვის წიგნისა ნათესავთა და მოკეთილეთა მიმართ; მოთხრობითი აღწერა მამისა ანუ ნათე-სავისა ვისიმე მოქმედებათა; კითხუად საგმიროთა პოემათა და სხუათა ამ გუართა თხზულებათა, ომელნიცა აღამაღლებ-ლნენ გრძნობათა მათთა ყოვლითა კეთილობითა და წარმარ-თვად შინაურთა საქმეთა სასიამოვნოდ მამის ანუ ქრმისათვის. ერთის სიტყვით, წიგნობრივი აღზრდა ქალთა მრავლით აღე-მატებოდა აღზრდასა კაცთასა, ომელნიცა მიმოიქცეოდნენ უმეტესად საქმეთა შრა სიმარდისა და მხნეობისათა. აქა იგულ-ხმების ომელ, ფრდ სხუა-და-სხუა გვარი იყურენ ხა-რისხნი სადამდინაც მიაწევდნენ ქალნი ამ გუარის აღზრდი-ლობითა; გარნა უეპველ-არს ესე, ომელ ყოველთა ხარისხ-თა ზრა და მით უძლიერესად რაოდენ უმაღლეს იქმნებოდა ხარისხი ესე, შთაენერგებოდათ მათ გრძნობად დაურღვევე-ლისა ერთგულებისა მამა-პაპათა სარწმუნოებისადმი და განუ-საზღურებელი ყოვლისა მის სიძულილი რაცცა ეწინააღმდე-გებოდა ქრისტიანობასა. სხუა სარწმუნოების ქრმის შერთუად, უმეტესადღა გამოცელად თვით სარწმუნოებისა, მიაჩნდათ ამ გუარად აღზრდილთა ქალთა ესრედ ძლიერ უბედურებად, ომელ გონება მათი ვერლა გამოიხატევდა უდიდესსა. ძლი-



ერსა გრძნობასა ამას გამოსწოვდნენ იგინი მშობლისა ძუძუ-  
თაგან, შეითვისებდნენ პირველის მექსიერების განხსნისათა-  
ნავე და გულში შთაიბეჭიდილნენ პირველთათანავე შემე-  
ცნებათ. უეჭველ-არს ესეცა რომელ ქალნი უდიდესთა  
გვართანი აღიზრდებოდნენ ამ კანონებით უმტკიცესად და  
ესრეგ იყო აღზრდილი ექატირინე გურიელი ვა ქალი სა-  
ქრისტიანოს თემის მფლობელისა. თუმცა ესოდენს ნარნარს  
ასაკობაში ამ გუარის ფიქრის გამოცულის შეიძლებოდა რო-  
გორმე განუსაზღურებელი დედის მინდომილება, მაგრამ დე-  
და იღარა ჰყავდა მას და თავისს უბედურებას ჰპოებდა იგი  
მით უმეტეს აუგალად, რომ იცოდა, რა ძვირფასად მიაჩნიათ  
თურქთა და სპარსთა ქართველნი ქალნი და ესეც იცოდა,  
რომ იყო ძალიან ლამაზი: ვერ დაივიწყებდა მოურიდებელს  
ლაპარაკსა დედისა და თანმხლეთა ქალთასა, რომელნიც ხმა-  
მალლად ჰკვირდებოდნენ მისს სიმშვენიერესა; ვერ დაივი-  
წყებდა ეგრეთვე მამისა ალერსსა, რომელიც იკვეხიდა ხოლ-  
მე მისსა კეკლუციობასა.

(ହେଲ୍‌ସାରିଗୁଡ଼ିଙ୍କ ପଞ୍ଜାବ)

յարտզել մեցու վաեցանցու մեռնեց մուշլա ցանչաս.

(յունգյանացան. \*)

Յունգյանացան վաեցանցու ցանչաս հռ մուզուցա, յև օմուտ ոսո  
 ցամո՞վայուլո, հռմ լոյկածո պարոցքնենց ամ յալայի առերյ-  
 ծաս. մոաթլուզդա ու առա վաեցանցու տացուսո չարուտ, լոյկածմա  
 մա՛նոնց սկան ճանիցէս, ասց հռմ յրագո Շերտակեցաւ առ մույ-  
 եցատ յարտզելցեծ մատան. ամուս Շեմցըց ցանչյալցեմա ասց մո-  
 աեսցնես մեցու: „լոյկածո հռմ հայեն մեթոնցըլ տատրուս տյմեցտան  
 Յունգյանացան առ Յիշոնցտ Շյորուլո, հռս մուզուցունց այսու;  
 ամ տատրուցուս հացոնցեցուտ լու ֆայեթեցուտ սբու ոսուս, հռ յև  
 ցածրցուս; ամուրու, Շեն ու լու լուցեցուլո Մակու մեցոնձարու լու  
 մոմերյ եար լու հայենուցուսաւ սոյերո ցոյցու ցուլնո, ամ տատ-  
 րուցուս սբու Շյուցուո, այլու լու լու Եպուցուու.“ ամ լութեթցեցաս,  
 հռ այսուր տատրուցուս ծրալուա, սեցա մուշանուց Յիշոնց.  
 ցանչյալցեմա վաեցանցու Շյուլա հռ մուտեռուցուս, սամացոյերուտ  
 լուցու ցուլուսաւ լու Յիշոնցունց; աելու-կո ամ ցուլու ալար օհօն-  
 ցնեն լու տատրուցնոյ այեթեցենց այսուցունց—այսու լու լու օլուց.  
 ամ ցարաւ մուեցա, հռմ ցոյց յարտզելցեծուս չարու, հռմյանու  
 կացուսուանո կացուանո Շյու՛նյալցեցուո, Շյուցու կացում, Շամ-  
 եռիս, ցանչա-ծանարու, ուսկնածուց, կուրայ-հանու լու ծահըցա,  
 սոյցըլ ցուլուսունամուն լու մունարյ լուրդանամուն. ուղմու  
 եալուս առ Յեռացունց լու Եպուցուու նայուց օվերունց, սա-  
 մացոյերուտ, հռու-կո հռմ լու կացուանո—Մունարու սայոնցլո, յատ-  
 մեցու-կո, մալլու, կարո(?) օվեչյալունա լու սեցա մրացալցարո

\*) Nistoire d'Aghoyanie, par le catholico Esaï Hasan-Dehalolians. օջ. 214.



ნივთი,— ყველა ეს დაიპარეს და დაიტაცეს. თუ კი ამ გრუმატიკა-ნივთი და საქონელი ასე აიკლეს, რაღა ითქმის ოქრო-ვერ-ცხლსა და სპილენძეულობაზე? დავლა მეტად დიდი იყო, მეტადრე რკინეულობა, სპილენძეულობა, ფარჩა და ტანსა-ცმელისა, ამიტომ ცხენებით რო ვერ გაზიდეს, ურმები აავსეს და ისე გადაიტანეს თავიანთ ბანაკში განჯის ახლოს, ჩოლა-ყის მინდორზე. ყველა ეს მოახდინეს არა მარტო თათრის სოფლებში, არამედ სომხის სოფლებშიაც. მოხდებოდა ხოლ-მე, რომ მთელი სომხის სოფელი, ქართველ რაზმის მოახლო-ვებაზე, წინ ეგებებოდა საეკლესიო სამოსლით შეძლებილ სა-მოვდელოებით, ჯვრებით და სანთლებით, მაგრამ ივერიელე-ბი მაინც თავისას არ იშლილნენ: თავს ესხმოდნენ მათ, იკ-ლებდნენ ყველაფერს, ეკლესიებს, წიგნებს, სამოსლებს, ავე-ჯეულობას, სპილენძეულობას, კაცებს, ქალებს; სოფელი ტიტველა რჩებოდა ისე, როგორც ახლად დაბადებული ბალ-ლი. ასე აიკლეს და დაიტაცეს ქართველებმა მთელი განჯის მხარე თავიანთ ბანაკებში წასაღებად. ვინ დასთვლის წვრილ და სხვილ ფეხა საქონელს? ქართველები ჩვეულებისამებრ ნადავლის ერთს წილს ჯარის უფროსებს აძლევენ; ამბობენ, რომ ამ აკლების დროს ეს წილი შეადგენდა 25,000 ცხვარს და 9000 სხვილ საქონელსაო; ადვილად მისახვედრია, და-ნარჩენი რაღა იქნებოდა. ასეთი შველა გაგვიწიეს ქართვე-ლებმა თავის მოსვლით; ის რაც თავ-გასულ ლეკებს გადარ-ჩათ, ქართველებმა წაიღეს, გაუმაძლარ, მსუნავ და შეუწყა-ლებლებმა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მეფე ვახტანგი გულ-კეთილი კაცი იყო, ლვთისნიერი, ქრისტიანების მოყვა-რე; ბევრჯელ აღუკრძალა და დაემუქრა ჯარის კაცებს ასე ნუ იქცევით, კაცის კვლას და დატყვევებას ნუ ჩაიდენთო, მაგრამ ივერიელები, ბუნებით შხეცი და თავ-გასულები, არ ისმენდნენ მეფის ბრძანებას. ქართველების წასვლაზე ჩვენი ქვეყანა უპატრონოდ დარჩა, ამიტომ ვისაც რა უნდოდა, იმას სჩადიოდა; ყველა აირივ-დაირივა. როცა ვნახე, რომ მშვი-

დობიანობის ჩამოგდებაზე იმედი აღარ იყო, მეც თან გავუკე-  
ვი ვახტანგის ჯარს და წაველ საქართველოში. განჯიდამ გა-  
ველ პარასკევს ენკენისთვის 22-ს 1721 წელს და ობილისში  
რომ მივედით მაისის 28 იყო (1722 წ.). იქ დავრჩი 4 თვეს.  
დადგა თუ არა ენკენისთვის შემოდგომა, ვახტანგი ხელ-მეო-  
რედ წავიდა განჯას. აი ეს რაზე მოხდა: სპარსეთი დაეცა  
და დასუსტდა; ამით ისარგებლეს მისმა მტრებმა, მეტადრე  
რუსის ხელმწიფებ პეტრემ და სტამბოლის სულთანმა და  
ორთავემ დაიწყეს ჯარების შეგროვება. რუსეთი ცდილობდა  
სხვები დაეჯერებინა, რომ სპარსეთი უნდა მივეშველო გაჭი-  
რებაში; სულთანმა-კი გამოაცხადა, რომ რაკი სხვები აპირე-  
ბენ სპარსეთის დაჩემებას, ამიტომ მეც უნდა მერგოს ჩემი  
წილი და ადერბეიჯანი უნდა ჩავიგდო ხელში, რომელიც  
ერთს დროს ჩემი იყოო. ვახტანგმა მოციქულები მიიღო  
ორთავესაგან, „მე მომემხრეო, — შემოუთვალი სულთანმა, —  
ჩემ მფარველობის ქვეშ იყავიო“. პეტრე-კი სწერდა: „შენ  
რომ ჩემის რჯულისა ხარ, მე შემიერთდი და ერთად ვიყო-  
თო“. და მასთან დროს და ადგილსაც უნიშნავდა ვახტანგს  
ერთად შეყრისათვის: ოქტომბრის დასაწყისს შაჰაბაში მივალ  
და იქ დამხვდიო დამზადებულ ჯარით. იმავ დროს სპარსეთის  
შაჰმაც, რომელსაც დღე-დღეზე ტახტიდან ჩამოგდება მოე-  
ლოდა, საჩქაროდ შემოუთვალი ვახტანგს: „შენ ხელ-ქვეით  
იყოს განჯა და ადერბეიჯანი; ამ ქვეყნების სპარსა-მთავარ-  
სარდლად გნიშნავ, ამიტომ სწრაფად შეჰყარე ყველა ჯარი,  
მიდი განჯას და დაიხსენ ეს მხარე მტრებისაგანაო“. ვახტან-  
გი ფიქრს მიეცა: ორში რომელს ხელმწიფეს მივემხრო? ერთი  
მათგანი არც ჩემი ჯრულისაა და ჩემის ქვეყნის დაპყრობაც  
უნდა; სპარსეთის შაჰი ჩემი ბრძანებელი იყო აქამდინ, ახლა  
კი რუსეთის ხელმწიფეა უფრო ძლიერი, და ჩემ რჯულსაც  
ეყუთვნის. მაშასადამე, მხარს მივცემ იმას, ვინც უფრო  
ძლიერია და იმედიცა, რომ გაიმარჯვებსო. ვახტანგმა ბრძა-  
ნება გასცა ჯარის შეყრაზე; შეაერთა სომხების და ქართვე-



ლების ჯარები და გაუდგა გზას. მეც თან წამიყვანა, ჰადგინ  
მას აქეთ, რაც საქართველოში მივეღ, კეთილ და მოწყალე  
თვალით მიყურებდა მეფე და თავის ხარჯით მინახავდა.

თბილისიდამ რო გავიდა, თან ისეთი დიდი ჯარი წაი-  
ყვანა, რომ ვერავინ ვერ გაიგო მისი რიცხვი და არც მე  
ვიცი მისი რაოდენობა. ენკენისთვის 16 იყო, რომ ანკ-  
ქორფში მივეღით, ხრამზე როა. აქ მეფემ თავის წინ მომი-  
ხმო და მიბრძანა ჩემს ქვეყანაში, ყარაბაღში, წავსულვიყავ  
ქვემოთ მოყვანილის განზრახვით. ვახტანგი განჯას რო მი-  
ვიდა ლეკების გასარეკად, ამის შემდეგ ყარაბაღელ მელიქე-  
ბის მეტადინეობით მთელი აღოვანის მამაცი და მედგარი  
ახალგაზღიულობა ჯარში გამოსულიყო, რომლის რიცხვი 12,000-ს  
აღემატებოდა. ამ ჯარს არწიხის სიმაგრეები დაგჭირა და  
აქედამ ბევრი ამაგი დაედო ჩვენის ქვეყნისთვის თავის ვაჟ-  
კაცობით. ამ ჯარზე ამბობდნენ, რომ სომხეთის სამთავროს  
აღდგენასაც შესძლებსო. ვახტანგმა ყარაბაღს გამგზავნა, რა-  
თა ეს ჯარი მომემხრო და წამომეყვანა. ახალი ჯარი ჯერ  
საკმაოდ არ იყო გამოცდილი სამხედრო სამსახურში, საჭირო  
იყო მისი მოწესრიგება და მეც შევუდექ ამ საქმეს. ამის  
შემდეგ განჯას გავემართეთ დარაზმულები. მივეღით ერთ  
ალაგს, რომელსაც ჩოლაყი ჰქვიან და დავრჩით იქ სამ დღეს.  
ვახტანგი ამ დროს განჯის იქითა მხარეს იყო, მდინარე  
ყოჩ-ყარაზე, და იქ დაგვიბარა ჩვენ. ბანაკს რო მივუახლოვ-  
დით, მეფემ უბრძანა თავის ჯარს, რათა ჩვემ მისაგებათ გა-  
მოსულიყო. შეხვედრაზე ორივე ჯარი დამწერივდა ერთმა-  
ნერთის წინ, თითქოს საბრძოლად დარაზმდათ. ჩვენმა აბჯარ-  
ასხმულმა მხედრობამ დამწკრივებულ ჯარს წინ გამოუქენა.  
განისმა ზარბაზნების გრიალი, შეირყა მიწა, ცას გადაეფარა  
ღრუბელსავით ბოლი და ბუქი. სიხარულით აღტაცებულები  
ჩამოვხდით ბანაკთან. ვახტანგმა, რომელსაც ასე ნათლად  
ეტყობოდა თვალებში, რა სიხარულიც ავსებდა მის გულს ამ  
მედგარ ჯარის და მის მამაც მელიქთ მოსვლის სანახაობით,



შემდეგ სიტყვებით მოვმართა: „იყავით მამაცნი ამის შემდეგ, კითარუა გმირები; ნუ რა რის და ნურავის შიში ნუღარა გაქვთ, რადგან დადგა დრო ქრისტიანთა შვებისა“. ამის შემდეგ მეც მოშმართა სიტყვა და დიდათ მიმადლობა. მეორე დღეს ყველა უფროსებს მოწყალება გასცა. მასთან დავრჩით 25 დღემდინ. ასე მოწყალედ რო მოგვექცა ვახტანგი, ამის მიზეზი ის იყო, რომ იგი იმ თავითვე მოყვრის თვალით უცქეროდა სომხებს და არც ქართველებისა ჰქონდა დიდი იმედი, რადგან ეს ერი ყოველთვის მუხთალი და მატყუარაა (?).

დიდს ხანს უცადა ვახტანგმა პეტრეზე მოსვლის ამბავს და ამასობაში მზადებაში იყო, რათა დიდის ამნით და ზეიმით დახვედროდა დიდებულ ხელმწიფეს რუსეთისას სომხე-ქართველ ჯარით. მაგრამ ბედმა გვიმუხთლა. ბევრის ცდის შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ პეტრე ხელმწიფე დერბენიდს მიადგაო ზღვით და მაშინვე დაუჭერია ეს ქალაქი მის ცხოვ-რებლების ნებითვე. მაგრამ იმ ხანშივე რაღაც მიზეზით იქვე დაუტოვებია კარგა მოზრდილი ჯარი, დანარჩენით-კი ისევ უკან გასდგომია გზას.— მომავალ წელს კიდევ მოვალო, “— უთქვამს წასვლაზე. რა მოხდა, რამ აიძულა უკან დაბრუნებულიყო? ჯარის კაცები გაუხდნენ ივათ, თუ ცხენები დაეხოცა ჰავის აუტანელობით, ან იქნება ზღვაში სურსათი და ზარ-ბაზნები დაეღუპა? ბევრ სხვა მიზეზსაც აბრალებდნენ. გაიგო თუ არა ვახტანგმა ეს, უკან გაუდგა გზას, რადგან ამბავი მოვიდა სპარსეთიდამ, რომ ისპაპანის ქალაქისათვის ალყა შემოურტყავთ ავღანელებს და შიგ მოუმწყვდევიათ თვით შაპი თავისი მხლებლებით. იმასთან საქართველოდამაც მოვიდა შიკრიკი და ამბავი მოიტანა, რომ იმ ქალაქს (გორს), სადაც შენი სახლობაა, თავს-დასხმას უპირებენ შენი ძეელი მტრე-ბი, ამიტომ საჩქაროდ დაბრუნდით. ვახტანგიც აჩქარდა. გზაში რამდენიმე წვრილი ბრძოლა გაუმართა ყაზახის თა-რებს ძველ შეურაცხოფის სამაგიეროთ და ბოლოს მივიდა



თბილისს, ჩვენ-კი უიმედოთ დატოვებულებმა, ჩვენს ქვეყანას შევხიზნეთ და გავმაგრდით მთებში.

ვახტანგის შესახებ ჩვენ ბევრი აღარა დაგვრჩა-რა სათქმე-ლად. მეფის დაბრუნების შემდეგ განჯის, კახეთის, ერევნის, ბორის და ყაზახის მთავრებმა ვახტანგს მტრობა დაუწყეს. მათ შორის ორმა გამაპმადიან ებულმა კახეთის მთავარმა კონსტანტინემ, აწ მაჲმად-ყული-ხანმა და უღურლუმ, განჯის ხანმა, ერთად პირობა შეჰკრეს დაებეზღებინათ სპარსეთის ახალ შაპსთან შაპ-თაპმაზთან, ვითომც ვახტანგი მას განდგომას უპირებდეს. ამ შაპ-თაპმაზს, შაპ-სულთან-პუსეინის შვილს, ისპავანიდამ თავი გამოელწია და ყაზვინში რომ მოსულიყო შაპად ქმნილიყო. კახეთისა და განჯის შეთქმულ მთავრებს ასე მიეწერათ ამ ახალ შაპისთვის: „ვახტანგი განდგომას გიპირებს; ამაზე მოლაპარაკებაც აქვს სომებს და ქართველ ჯარებთან, რუსის ხელმწიფეს შიკრიკებს უგზავნის და იწვევს, რომ მან შენი სამფლობელო დაიჭიროს. აწ გიბრძანე, რასაც ინებებ“. ამაზე ამ უტვინო შაპმა ასეთი ბრძანება გასცა კახეთის მაჲმად-ყული-ხანზე: „გაძლევ შენ მაჲმად-ყული-ხანს კახეთს, ქართლს თბილისით და მასთან მთელ საქართველოს; ამ ქვეყნების და აგრეთვე განჯა-ერევნის მხედრობამ ყველა თავის მთავრებით უნდა შეგეწიოს. გიბრძანებ შეიძყრო ვახტანგი და ცოცხალი ან მისი თავი აქ გამომიგზავნო დაუყოვნებლივ“.

წინად ვახტანგი სპარსეთში იყო დაბარებული და იქ გაატარა ვ წელიწადი ძალით გახიზნულმა. შემდეგ სპარსეთის ნდობა რომ მოიპოვა, მხედართ-მთავრობა მიეცათ მის-თვის და ამ თანამდებობას ასრულებდა 2 წლის განმავლობაში. ბოლოს მამა-პაპეული სამფლობელოც დაებრუნებინათ მისთვის და გამოემწესათ ქართლში მთავრად. სამშობლოში დაბრუნებული ვახტანგი ცდილობდა თავის თავი სპარსეთის ერთგულად ეჩვენებინა, მაგრამ ყველა ხედავდა, რა მძულ-ვარებაც უტრიალებდა მას გულში სპარსეთისადმი.



მიიღო თუ არა კახეთის მთავარმა მაჰმად-ყული-ხანმა ახალ შაპისაგან ბრძანება ვახტანგის შეპყრობაზე, მაშინვე შეუდგა სპარსელ რაზმების შეგროვებას, რომლებსაც სხვა-და-სხვა ციხე-სიმაგრეები ეჭირათ. ვახტანგმაც იწყო მომზა-დება და მიიმხრო ქართველ და სომხის ჯარები. საომრად გავიდა თბილისელი სომხობაც, რომელსაც ვაჟკაცურად უარდა შეუკაცება ვახტანგისათვის შეეწირა თვისი სიცოცხლე, შეიღები და ქონება. ომი დაიწყო დეკემბრის პირველს და დასრულდა აღდგომას 1723 წ. დაიწყო იმის, რომ მაჰმად-ყული-ხანი ღამით თბილისის ციხეში შეიბარა, ისე რომ ვახტანგს ეს არც კი გაუგია და გათენდა თუ არა, ყუმბარე-ბი დაუშინა ციხიდამ ვახტანგის სასახლეს. „შაპის ბრძანებით — შეუთვალა ვახტანგს — გაღი აქედამ და გამეცალეო“. გაი-მართა ბრძოლა, რომელსაც შედეგად მოჰყვა სპარსელების დამარცხება; მაჰმად-ყული-ხანიც, ცოტა დარჩა, არ შეიძყრა მდევარმა, მაგრამ თავს უშველა დროზედ, თბილის ქვემოთ ცხენით გასცურა მტკვარში და კახეთს გაიქცა.

ასეთის დამარცხებით კახეთის მთავარმა გული მაინც არ გაიტეხა. მის ნაცვლად, რომ ხელი აეღო თვის ბოროტ-განზრახვაზე ვახტანგის შესახებ, ეს მეორე იუდა ამ დამარ-ცხებით ეშმაკ-სატანად გარდაიქმნა. სპარსელ ჯარზე რომ იმედი გაუცრუვდა, ახლა ლექებს და დაღისტნელებს მიმარ-თა და მოიწვია ასეთის დაპირებით: „მხარი მომეცით და მო-მეშველეთ; თქვენის შეწევნით თბილის ავიღებ და ხელში ჩავიგდებ მთელს ქალაქსათ. თქვენი იყოს უველაფერი რაც რამ ჰპოვოთ იქ: ოქრო, ვერცხლი, ფარჩეულობა, მიტკალი, სპილენძეულობა, რკინეულობა და აგრეთვე უველა ტყვე, რომელიც ხელში ჩაგივარდებათ. ამასთანავე გპირდებით, რომ ამ ნაღავლის გარდა ყოველი თქვენგანი ჩემ ჯიბიდამ სამ-სამ თუმანს მიიღებს. მხოლოდ ჯავრი ამომაყრევინეთ და წალი-ლი შემისრულეთო“. ამ გვარ დაპირებით მოხიბლული ეს დაქირავებული ქაჯთა ბრბო, რომელსაც ხელიდამ სიავის

მეტი არა-რა გამოსდის, სიხარულით მიეგება მაჰმად-ყულინანის მოწვევას და აღუთქვა ყველა წალილის შესრულება. მალე შეაგროვა მრავალ-რიცხოვანი ჯარი ამ მხეც თემების და მთიულ ბარბაროსებისა. ეს ჯარი, რომელსაც უფროსობდა ალი-სულთანი და ორიოდე სხვაც, სამ რაზმად დაიყო და ასე გაემართა მდიდარ თბილისისაკენ.

ვახტანგის ჯარი ამ დროს დაშლილი იყო, რადგან მეფე არავისგან აღარ მოელოდა თავს-დასხმას. მოვიდა უცბათ თბილის ლეკების ჯარი და გარს შემოერტყა ქალაქს. ვახტანგი მაინც რამდენიმე დღეს გაუმაგრდა ამ ჯარს; ბოლოს კი, რომ ნახა რომ ზოგიერთ ჯარის უფროსმა და სხვა დიდებულებმაც უმტყუნეს მას, მაგ., გიორგიმ, არაგვის ერის-თავმა და ყაფლანიანებმა, რომლებმაც თბილისი მიატოვეს, მეფემაც გარდასწყვიტა თავი დაენებებინა ქალაქისათვის და გაიხიზნა მხლებლებით შეუა ქართლში, საიდამაც. პეტრე ხელმწიფეს ზედი-ზედ შიკრიკები გაუგზავნა და სოხოვდა საშველ ჯარს, მაგრამ არც აშით გამოვიდა-რა.

მაჰმად-ყული ხანი შეესია თბილის თავის ლეკთა ჯარით. დიდი ხანია რაც ტურფა და ლამაზი თბილისის ქალაქი, რომელიც, როგორც ყველამ იცის, სომებს ვაჭრებითაა დასახლებული, მდიდრულ ყოფა-ცხოვრებას მისდევდა. ვინ შეედრებოდა ამ გამრჯე და მდიდარ სომხობას, რომლის დოვლათი, სახლების ძვირფასი სამკაული და მოწყობილობა, ბრწყინვალე ფარჩით ჩატანა-დახურვა, ოქრო-ვერცხლის და ძვირფას ქვების სიუხვე მათ ტანსაცმელზე, ყველგან განთქმული იყო; ნაზათ გაზრდილ ახალგაზღობის, ქალ-ვაჟების სილამაზე ხომ ყველას გაუგონია. ეკლესიები გავსილი იყო ოქრო და ვერცხლის სამკაულით, ბრწყინვავლენ ძვირფას სამოსლით და ნივთებითა. ყველა ეს ხელში ჩაიგდეს ლეკებმა, ამ მხეც, გაუმაძლარ და განადირებულ ხალხმა, რომელსაც ბუნება წურბელისი აქვს. ჯერ რაც რამ ეკლესიებში და სახლებში იყო ის თკლეს და შემდეგ მიჰყვეს ხელი ვაჟებს,

ქალებს, დედაკაცებს და ყმაწვილებს. ვინ მოსთვლის რამდენი შებღალვეს, ვინ აღრიცხავს ნადავლის სიმრავლეს? თუმცა ხალხი კი ნაკლებ დახოცეს და დატყვევეს, რადგან მაპმადყული-ხანმა აღუკრძალა ეს, თუმცა არც ისე უგონებდნენ მას. ამის შემდეგ ლეკებმა მოითხოვეს დაპირებულის ფულის გადახდა, ე. ი. კაცზე სამ-სამი თუმანი, სულ ა. 0.000 თუმანი. ეს ფულიც თბილის გადახდევინეს და ასე დაბრუნდნენ სახლში.

ა. კვერკველაძე.

### საკვირაო გაზოთს „კვალს“.

დვარქლი და სიცრუე, ჭირი და უსაქმურობა — აი წუმპე, რომელშიაც დღე-მუდამ გაუსწორებლად იფლობა „კვალი“. იმის მაგივრად, რომ მან ფართოდ ისარგებლოს მთავრობისა-გან ფართოთვე მოცემულის პროგრამით და მით ცხოველ-მყოფელ მალამოდ დაედოს ჩვენს ათას ჭირსა და მოთხოვნი-ლებას, მოჰყოლია და უხამსად ცრუ-პენტელოაბას თვისს ფურცლებზედა, ვითომეც და მეც ქვეყანას ვემსახურებიო. ვაი ქართველს ხალხს და ქართულს მწერლობას თქვენისთა-ნების ხელში!..

ყოველ გვარ ქვენა საქმეს ვიკისრებ, მაგრამ იმას კი არასოდეს, რომ ახალ-წლის გამოცემაში, რომელიმე სხვა გამოცემას ეპიტაფიები ვუძღვნა და სუდარაში გახვევა ვუკი-ჟინო, ვითომ და აი, იცოდეთ, რომ იგი კვდება და მე კი ცოცხალი ვრჩებიო. ასეთია სწორედ „კვალის“ ამ წლის პირველს ნომერში „მოგზაურისადმი“ ნაძლვენი სიტყვები, მაგრამ რაჯვან მომავლის წინასწარმეტყველნი და მით უმე-ტეს სიკვდილის საქმეში ხშირად სტყუვდებიან, დავიცადოთ და ვნახოთ, ვინ უფრო ადრე გარდაიცვლება — „კვალი“ თუ „მოგზაური“!?

# ქართველთ მოქცევა.

ნინოს შობა - ღმირდა.

სოფელს კოლისტის  
 ჭყლობდა მთავარი,  
 მეომართ დასტას მოლისძე  
 მხნე წინამდგვარი.

ზაბილონ იუო  
 სახელი მისი,  
 სუსნა იუო  
 შეუღლე მისი.  
 ნინო ამათგან  
 იშვა ბრძენთაგან  
 და იხსნა ქართლი  
 ბოროტ სულთაგან.

თორმეტის წლისა  
 ომე შეიქმნა,  
 ბრწყინვალებისა დოფია  
 სხივ მოეფინა.  
 წმიდა სახლობა  
 მამინ წარვიდა,  
 იერუსალემს  
 ქალაქს ჩვიდა.

მუნ მღვდელმთავრობდა  
იობენალი,  
მამადმთავრობდა  
სულის მკურნალი.

ამას თვისობზენ  
პოლასტელები,  
მასთან დასახლდნენ  
დათის მლოცველები.

მამა და დედა  
შემდეგ წარვიდნენ,  
ოსოლთ მსახურად  
სურვილით შესდგნენ;

ჰატრიანექმაცა  
ნინო დალოცა,  
ნიაფორსაცა  
სწავლებად მისცა.

ბრძენსა დედასა,  
მასწავლებელსა,  
ნინო ეთვისა  
განათლებულსა,

მისგან ისწავლა  
სჯული ქრისტესი,  
გლახავთა მოვლა,  
მცნება მოსესი,

ამბავიც ქვართის,  
 ქრისტეს საძოსის,  
 ცნობაცა ქვეუნის,  
 უოვლისა ქართლის.  
 ნიაფარ დედა  
 ნინოს ეტეოდა:  
 „შვილო, ვწადოდა,  
 პირეც გუროდა  
 „ქრისტეს შედგომა,  
 ქადაგ გახდომა;  
 აწ წარვედ აღმა,  
 მთათა გადაღმა,  
 „მუნა სამკალი  
 ფრიადი არი,  
 მუნა მომკალი  
 უოვლად არ არი;  
 „კერძი ბევრია  
 მას ქვეუანასა,  
 და ივერია  
 ჰქვიან იმასა“.  
 ჰატრიარქმაცა  
 ხელნი დაასხნა,  
 კურთხევა მისცა,  
 გზა დაულოცნა.

დ—ძ.

## სახალხო ისტორია საქართველოსი \*).

სამეფოს დაანსებიდამ ქრისტიანობის მიღებამდე.

ფ ა რ ნ ა ო შ ი, ზირველი მეფე საქართველოსი.

(301—237 წწ. ქრ. წინ.).

დროც კარგი დაუდგა ფარნაოზის. 323 წელს, ალექსან-  
 დრე მაკედონელი, ჯერ სრულიად ახალგაზდა—33 წლისა,  
 უცრად გარდაიცვალა ბაბილონში და მისი უშველებელი  
 სამეფო დარჩა უმეფოდ, რადგანაც ალექსანდრემ ვერ მოა-  
 წრო მემკვიდრის დანიშვნა. ალექსანდრეს სარდლები და და-  
 მორჩილებული ხალხები აიშალნენ. ყველამ თავისკენ გაიწია  
 და, ბევრი არევ-დარევისა და შეხლა-მიხლის მერე, რამდენიმე  
 დამოუკიდებელი სამეფო დაარსეს. აზონმაც, რა თქმა უნდა,  
 თავისთვის მოინდომა საქართველოს შერჩენა, მაგრამ, დიდის  
 ხნიდამ თავისუფლებას ჩვეული ქართველი ხალხი დრტვინავ-  
 და და შეფოთავდე, რომ დღეს თუ ხვალ თავში მეხი დაუცა  
 უცხოელ მოძალადისათვის. ეს დღეც ხელა დაუდგა.

მთაში აღზრდილი ფარნაოზი იღუმალად კვლავ გადმო-  
 სახლდა დედით და დებით მცხეთაში და იშუო აქ კერძო,  
 ჩვეულებრივი კაცის ცხოვრება, რომ მით უფრო ახლო ყოფილი-  
 ყო ხალხთან და თვალ-და თვალ ყური ეგდო ხალხის გულის  
 ცემისათვის. აქ ფარნაოზი მაღე დარწმუნდა, რომ ქართვე-  
 ლების ამხედრებას მტრის წინააღმდეგ დაძახების მეტი არა  
 უნდა-რა და სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა. დედა კი ში-

\* ) ინიციუტ „შოგრეაური“ 1901 წ. № 12, დამატება, გვ. 53.

შისაგან იღეოდა, რომ აი საცაა აზონი შეიტყობს შვილის ვინაობას და ერთს დღესაც არ აბოგინებს კოცხალ-საო. დედამ ამიტომ ეუბნებოდა შვილს: „წავიდეთ, შვილო, სპარსეთს, ჩემს ძმებთან, მოშორდი მესისხლე აზონს, თორემ, ვიცი, მოუკვლელს არ გაგიშვებს შენაო“.

ფარნაოზს, რა თქმა უნდა, ეძნელებოდა სამშობლოს დატოვება, მაგრამ იმავ დროს კარგად ესმოდა თავისი მცხეთაში ასე ცხოვრების შეუძლებლობა და ამიტომ დღე და ღამ სულ იმის ფიქრში იყო, თუ რით და როგორ დაეწყო საქართველოს განთავისუფლების საქმე. ბედმა მალე ამისი საშუალებაც მისცა ფარნაოზს. ეს იყო დიდ-ძალის ფულის და განძის პოვნა ფარნაოზისაგან სკვირეთის ხეობაში, თბილისს ახლო. საქმე ასე იყო.

ფარნაოზი თუმცა შეძლებული მამის შვილი იყო, მაგრამ მთაში ყოფნის დროს, მამულები მისი მთლად მტერს დაეჭირა და გარდა რამდენიმე ვერცხლეულისა და ძვირფას თვალთა, რომელიც მის დედას ოან წაეღო, ამათ ახლა სხვა არაფერი ქონება აღარა ჰქონდათ. ცარიელის ჯიბით-კი ხალხის შეიარაღება და ამხედრება ყოვლად შეუძლებელი იყო. აი აქ, როგორც ვსთქვით, მოულოდნელად ბედმა ხელი გაუმართა ფარნაოზს და მანაც საბოლოვოდ გადასწყვიტა საქართველოს დახსნის საქმეს შესდგომოდა.

ერთხელ ფარნაოზი გავიდა მარტოდ სანადიროდ და ნელ-ნელა მიაღწია სოფელ დიღმის მშვენიერს ველს, თბილისის ახლო. საღამოს უამს ფარნაოზი აქ უკრად თავს წააწყდა ირმის ჯოგს, სტყორცნა ისარი და ერთი ირემი დასჭრა. ირემი გაიქცა, მაგრამ ფარნაოზიც კვალ-და-კვალ მიჰყვა და, როცა ირემმა თბილისის ლირღალ კლდეებს მიაღწია, სისხლით დაიცალა და მიწაზედ დავარდა. მივიდა ფარნაოზიც და მომაკვდავ ირემთან დაჯდა დაღამდა. ფარნაოზმა გადასწყვიტა აქ გათევება ღამისა და მიიხედ-მოიხედა გარშემო, რომ მოხერხებული ადგილი ენახა დასაბინავებლად.

აქ მან თვალი მოჰკრა რაღაც ქვითკირს და მივიღა მასზარული  
რომ ნახოს, კარი ხომ არა აქვს საღმე შიგ შესასვლელით.  
აღმოჩნდა, რომ კარი კი ჰქონდა, მაგრამ ამოქოლილი იყო  
ტალახითა და ქვითა, რომელიც ცოტა დანგრეულიყო კი-  
დეც. ფარნაოზმა ამოილო ჩუგლუგი (პატარა წერაქვი), რო-  
მელსაც მუდამ თან ატარებდა, გამოანგრია ის დაშლილი  
ალაგი და რომ შევიღა შიგ ცეცხლის ასანთებად, მის გან-  
ცვიფრებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: გამოქვა-  
ბულში მან დაინახა

„განძი მიუდგომელი, ოქრო და ვერცხლი და სამსახურებელი  
ოქროსი და ვერცხლისა მიუწდომელი“.

ფარნაოზმა საჩქაროდ ხელ-ახლად ამოქოლა კარები, წა-  
მოვიღა იმ დამესვე მცხეთას და დედას ახარა ეს ამბავი.—  
„ეგ სწორედ ჩვენი სამამასახლისოს ხაზინა იქნება, რომელიც  
ბიძაშენმა სამარამ დამალა სადღაც, როცა მაკედონელებზედ  
საომრად მიღიოდა, „—უთხრა დედამ. სიხარულისგან ფარ-  
ნაოზს აღარ დაუძინია, წამოიყვანა ჯორ-ცხენები, რ.მდენიმე  
ერთგული კაცი და მთელი ის ოქრო-ვერცხლი და განძეუ-  
ლი დიდის საიდუმლოებით და სიფრთხილით სულ შინ გად-  
მოზიდა.

აქედამ იწყობა ფარნაოზის ცდა საქართველოს განთავი-  
სულებისათვის. დედის რჩევა—სპარსეთში წასვლაზე—მან  
სულ დავიწყებას მისცა და მის წილ გადასწყვიტა წასვლა  
სამეგრელოში, სადაც ამ დროს მთავრობდა ვინმე ქუჯი,  
მთავარი და მფლობელი დიდ-ძალ მამულებისა. ფარნაოზმა  
გაუგზავნა ქუჯს კაცი და შეუთვალა:

„მე გარ ნათესავი უფლოსისა, მცხეთოსის შეინდისა და  
ქმის-წელი სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხეასტაგი  
(სიძინდრე) დიდ-ძალი: აწ მინდა მთვიდე შენთანა, ვიგზნეთ  
ჩეგი ძმები, ორთავე გიმართოთ ხეასტაგი იგი, წინააღმდეგით  
აზრისა და სვემან ჩვენ მან მთგვრეს ჩეენ ძლევა პერილი!“

გაეხარდა დიდად ქუჯსა და მაშინვე დასტური აცნობებული მოემზადა ფარნაოზ და მთელი თვისი სიძლიდრითა, დედითა, დებითა და ერთგული კაცებითა დაუყოვნებლად იღუმალად წვიდა ქუჯისთან. ქუჯი გამოეგება ფარნაოზს მთელი თავისი ხალხითა და უთხრა:

„შენ ხარ შეიძი თავთა შათთა ქართლისათა და შენ გმართებს უფლისა ჩეენა. აწ ნე შერობ ხეასტაგსა შენსა, რათა განვიმრავდოთ სპანი (ჭარი), და უპერა მოგვეცა ძლევა, შენ ხარ უფალი ჩეენი, და მე მონა შენი“.

მთელი სამეგრელო ფეხზე დადგა როგორც ერთი კაცი. გაგზავნეს სასწრაფოდ კაცები ყოველ მხარეს და მოიწვიეს ქართველნი და ოსლეკი სალაშეროდ აზონის წინააღმდეგ. გაიხარეს დადად ყველამ და ამხედრდნენ აზონზე. აზონი მიეგება ფარნაოზს მუხრანის მინდორზედ (ქსნის ხეობაში), მაგრამ დამარცხდა და უკუ-იქცა კლარჯეთისკენ, რათა მოკრიფოს იქ ახალი ჯარი. ფარნაოზი კი ჩამოვიდა მცხეთას და დაიპყრა მთელი ქართლი.

აზონის დამარცხებას მუხრანის ველზედ სხვათა შორის იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ბრძოლის წინა დღეს, ფარნაოზმა მიუგზავნა საქართველოში მყოფ ბერძენ-მაკედონელთა ჯარებს კაცები და დიდს საჩუქარს და მამულებს დაჰპირდა მათ, თუ თქვენც ჩემს მხარეზე გაღმოხვალთ და მიშველით აზონის გაგდებასაო. რადგანაც თითონ მაკედონელებსაც არ უყვარდათ აზონი, როგორც კაცი მესისხლე, ათასმა მათგანმა მართლაც მიატოვეს აზონი და ფარნაოზს მიემხრნენ.

(შემდეგი იქნება).

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

на

ОБЩЕСТВЕННУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

# „ВОСТОЧНЫЙ ВѢСТИНИКЪ.“

1902

четвертый годъ издания.

„Восточный Вѣстникъ“ выходитъ въ г. Владивостокѣ въ форматѣ большихъ газетъ по слѣдующей программѣ:

- |  |   |
|--|---|
| 1) Телеграммы.   | 8) Обзоръ внутренней жизни. Сибирская хроника. Русская жизнь. |
| 2) Правительственные распоряженія.   | 9) Литературное и научное обозрѣніе.                          |
| 3) Передовая статьи.   | 10) Критика и библіографія.                                   |
| 4) Хроника.  | 11) Фельетонъ.  |
| 5) Письма и корреспонденціи.   | 12) Судебная хроника безъ обсужденія судебныхъ решений.       |
| 6) Статьи по разнымъ вопросамъ, касающимся интересовъ русской восточной окраины и жизни соседнихъ странъ: Китая, Японіи и Кореи. | 13) Промышленность и торговли.                                |
| 7) Обзоръ заграничной жизни: Китай, Японія и Корея.  | 14) Справочный отделъ.  |
|  | 15) Объявленія.   |

Газета выходитъ четыре раза въ недѣлю: по Четвергамъ и Воскресеньямъ №№; по Вторникамъ и Пятницамъ—отдельные прибавленія.

## ПОДПИСНАЯ ПЛАТА:

для городскихъ подписчиковъ,  
съ доставкою:

За годъ . . . . .	8 руб.
— полгода . . . . .	4 "
— 3 мѣсяца. . . . .	3 "
— 1 мѣсяцъ . . . . .	1 "

За перенѣну адреса 30 к.

для иногороднихъ,  
съ пересылкою:

За годъ . . . . .	9 р. — к.
— полгода . . . . .	4 " 50 "
— 3 мѣсяца. . . . .	3 " 50 "
— 1 мѣсяцъ . . . . .	1 " 50 "

Розничная продажа 10 к. №.

Адресъ: г. Владивостокъ Редакція газ. „Восточный Вѣстникъ“.

Редакторъ-Издатель *В. Сущинский*.



# „მოყენება“—ზე

და რუსულ პასტყენებზე

უურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 ბ.	6 თვით „მწყემსი“ 2 ბ.
— „რუსული „ 3 ბ.	— „რუსული „ 2 „
— „არავე გამოცემა 5 „	— „არავე გამოცემა 3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა უფრიდაში რედაქციაში, ქუთასშა პ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩავაშვილთან. ფოთშა—დეკანოზ ბ. გრიგოლ შავაროვთან; ახალსენაკშა—ბლალოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთში.

რედაქცია იმყოფება დ. უფრიდაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ უურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახვარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით უურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციიდან.